ვერსია

№6 (1596) 16-22 თებერვალი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

როგორ მოვიპაროთ მილიონი ბანკიდან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

საქმე, რომელიც ბანკის დაკვირვებულმა თანამშრომელმა „გახსნა“

ყველაფერი, რაც დასაქმების სახელმწიფო პროგრამის შესახებ უნდა იცოდეთ!

ირაკლი ღარიბაშვილის ახალი ინიციატივა – რა ოდენობის ანაზღაურებას მიიღებენ სოციალურად დაუცველები და შეუნარჩუნდებათ თუ არა სახელმწიფო შემწეობა დასაქმების შემთხვევაში

SOS! – TikTok-ზე სასიკვდილო თამაში ვრცელდება!

მშობლებო, ეს წერილი აუცილებლად წაიკითხეთ და შვილები დაღუპვას გადაარჩინეთ!

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ორი დიდი საიდუმლო – 9 თებერვლიდან 12 თებერვლამდე

რას ემსახურებოდა ედუარდ შევარდნაძის აფეთქება და ვის ინტერესში შედიოდა ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილი

ყველაფერი, რაც დასაქმების სახელმწიფო პროგრამის შესახებ უნდა იცოდეთ!

მაკა რუხაძე

ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობა 1 მარტიდან სოციალურად დაუცველების დასაქმების სახელმწიფო პროგრამას აამოქმედებს. 14 თებერვლის მთავრობის სხდომაზე, პრემიერ-მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა ფართო აუდიტორიისთვის სახელმწიფო პროგრამის დეტალები განმარტეს. გაინტერესებთ, სად დასაქმდებიან სოციალურად დაუცველები; რა ოდენობის ანაზღაურება ექნებათ მათ; შეუნარჩუნდებათ თუ არა სოციალური დახმარება დასაქმების მიუხედავად? მაშინ, ეს სტატია აუცილებლად ყურადღებით უნდა წაიკითხოთ, რადგან თქვენთვის საინტერესო ყველა კითხვაზე კონკრეტულ და ამომწურავ პასუხებს მიიღებთ.

ირაკლი ღარიბაშვილის ახალი ინიციატივა – რა ოდენობის ანაზღაურებას მიიღებენ სოციალურად დაუცველები და შეუნარჩუნდებათ თუ არა სახელმწიფო შემწეობა დასაქმების შემთხვევაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ სოციალური შემწეობის მიმღებ შრომისუნარიან პირებზე ორიენტირებული დასაქმების აქტიური პოლიტიკა ანუ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა მიმდინარე წლის 1 მარტიდან დაიწყება. პრემიერმა იქვე დააზუსტა და განმარტა, რომ შრომისუნარიან ადამიანებს სჭირდებათ არა შემწეობა, არამედ, დასაქმება და საკუთარი თავის რეალიზება:

„რამდენიმე კვირის წინ, მე ღიად ვისაუბრე ამ საკითხზე. ეს არის ინიციატივა, რომელიც შეეხება საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების შექმნას საქართველოში და სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმებას. ამ მიზნით, ჩვენ ნოემბერში დავიწყეთ მუშაობა. ბატონი ლევან დავითაშვილის ხელმძღვანელობით, მე გუნდი გავგზავნე ევროპის რამდენიმე ქვეყნის მაგალითის დასამუშავებლად. ჩვენ შევისწავლეთ კარგად, თუ როგორ მუშაობდა ევროპაში აღნიშნული ინიციატივა და დღეს გვაქვს მზაობა, რომ დავიწყოთ ეს ინიციატივა. მინდა, მოსახლეობას განვუმარტო, რას გულისხმობს ეს ინიციატივა.

მოგეხსენებათ, ჩვენი მთავარი ამოცანაა სიღარიბის დაძლევა და სამუშაო ადგილების შექმნა. ჩვენ უნდა შევცვალოთ სოციალური პოლიტიკა და კარგად ვიცით, რომ გზა სიღარიბის დაძლევისკენ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე გადის. ამიტომ, წელს უნდა დავიწყოთ აქტიური დასაქმების პოლიტიკა, ეს იქნება ჩვენი მთავარი საზრუნავი. მე შევახსენებ საზოგადოებას, რომ დღემდე არსებული სოციალური პოლიტიკა, შრომისუნარიან, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, უნდა ითქვას, უმოქმედობისკენ უბიძგებს. 600 000 სოციალურად დაუცველი მოქალაქიდან, 200 000-ზე მეტი შრომისუნარიანია ანუ 200 000 შრომისუნარიანი მოქალაქე არ არის ჩართული ჩვენი ქვეყნის მშენებლობაში და არ მონაწილეობს ეკონომიკაში. ისინი აბსოლუტურად დემოტივირებულები არიან, რომ დასაქმდნენ ლეგალურად, ამიტომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, ბავშვებს, შშმ პირებს – ყველას, ვისაც ეს სჭირდება. შრომისუნარიან ადამიანებს სჭირდებათ არა შემწეობა, არამედ, დასაქმება, ამოქმედება, საკუთარი თავის რეალიზება. თითოეული ოჯახის კეთილდღეობისთვის, ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია, რომ შრომისუნარიანი მოქალაქეები, ყველა, ვისაც ეს შეუძლია, ჩაერთოს ეკონომიკურ პროცესში“.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საზოგადოებრივი სამუშაოები სპეციალურად სამიზნე ჯგუფებისთვის შეიქმნება. სოციალურად დაუცველთა დასაქმების აქტიური პოლიტიკა ისეთ სამუშაოს გულისხმობს, რომლის შესრულებაც ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მოქალაქეების მოტივაციის ამაღლებას და წაახალისებს მათ, რათა შრომის ბაზარზე გააქტიურდნენ.

საინტერესოა, რის საფუძველზე შეიქმნა სოციალურად დაუცველთა აქტიური დასაქმების სახელმწიფო პროგრამა. ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა საუკეთესო დასავლური პრაქტიკის შესწავლის შედეგად შეიქმნა:

„აქ ჩვენ მივიღებთ ორმაგ შედეგს – ერთი მხრივ, გაიზრდება სოციალური შემწეობის მიმღებ უმუშევართა შემოსავლები, ხოლო მეორე მხრივ, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნის ან არსებულის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სიკეთესაც შეუწყობს ხელს. ამ პროგრამით ისარგებლებენ სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირები 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე, რომელთაც არ აქვთ მინიჭებული შშმ სტატუსი ან არ აქვთ ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები. ჩვენი პროგნოზით, სულ დასაქმდება 200 000 ადამიანი“.

ცხადია, საზოგადოებას აინტერესებს, კონკრეტულად სად დასაქმდება სოციალურად დაუცველი, დაახლოებით, 200 000 მოქალაქე. ირაკლი ღარიბაშვილმა დააზუსტა, რომ პირველ ეტაპზე, მუნიციპალიტეტები, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ასევე, სხვა სამინისტროები შეძლებენ და უზრუნველყოფენ 50 000-მდე ვაკანსიის მობილიზებას. მეტიც, ირაკლი ღარიბაშვილმა იქვე დასძინა, რომ შესაძლოა, წელსვე, სხვადასხვა საჯარო უწყებებში, ეს ვაკანსია 100 000-მდეც კი გაიზარდოს. საინტერესოა, კონკრეტულად რომელი უწყება განახორციელებს სოციალურად დაუცველი მოქალა ქეების დასაქმების პროგრამას, რა ოდენობის შემწეობას მიიღებენ ისინი სახელმწიფოსგან ამ პროგრამის ფარგლებში დასაქმების შემთხვევაში და შეუნარჩუნდებათ თუ არა უკვე არსებული სოციალური დახმარება:

„პროგრამას განახორციელებს დასაქმების სახელმწიფო სააგენტო და მოსარგებლეს ექნება შესაძლებლობა, აირჩიოს საზოგადოებრივი სამუშაო, ასევე, შრომის ბაზარზე არსებული უნარ-ჩვევების, გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების შესაბამისი ვაკანსია, ან თუ მოსარგებლე დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში,შეძლოს დასაქმების ფორმალიზება, ან პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ქვეპროგრამებში ჩართვა. მინდა აღვნიშნო ხაზგასმით, საზოგადოებრივი სამუშაო არ განაპირობებს სოციალური დახმარების შეწყვეტას – მოსარგებლის ოჯახს 4 წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება საარსებო შემწეობა! ის დახმარება, რასაც ის დღეს იღებს, მიეცემა მომდევნო 4 წლის განმავლობაში და ჩვენ ამას არ შევეხებით. ამ პროგრამაში ჩართულ თითოეულ მოქალაქეს მიეცემა დამატებით 300 ლარი. ერთი მხრივ, ისინი მიიღებენ სოციალურ დახმარებას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, 400-500 ლარი, ან 700-800 ლარიც იყოს და ამას გარდა, 300 ლარი ექნება დამატებით სახელმწიფოსგან. მოსარგებლეს შემწეობა გაუგრძელდება მაშინაც, თუ ის არ დათანხმდება არცერთ შემოთავაზებას, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხელახლა გადამოწმდება, რაც, ვფიქრობთ, სამართლიანია. რა თქმა უნდა, ამ დროის განმავლობაში, მას შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება და ხელახლა მიმართოს დასაქმების სააგენტოს, ან სოციალური მომსახურების სააგენტოს. საზოგადოებრივი სამუშაოს მასშტაბური პროგრამა იქცევა ჩვენი ვარაუდით უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად სიღარიბის დაძლევის გზაზე. ერთი მხრივ, 200 000-ზე მეტ ჩვენს თანამოქალაქეს მივცემთ უკეთეს შემოსავალს, ღირსეული შრომის პირობებს და თვითრეალიზაციის საშუალებას, ხოლო მეორე მხრივ, ისინი უნდა ვაქციოთ კონკურენტულ, მოტივირებულ ადამიანებად, რომლებიც სრულფასოვნად ჩაერთვებიან ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში“, – დასძინა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ვიცე-პრემიერმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა კიდევ უფრო დააკონკრეტა, რა ოდენობის ანაზღაურებას მიიღებენ სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, თუ ისინი დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში ჩაერთვებიან. დავითაშვილის განცხადებით, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის შემთხვევაში, სოციალურად დაუცველ პირებს, ოთხი წლის განმავლობაში სოციალური დახმარება არ შეუჩერდებათ. საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისას კი, მათი ყოველთვიური ანაზღაურება დაუბეგრავად, 300 ლარით განისაზღვრება:

„ათასობით სამუშაო ადგილი შეიქმნება მუნიციპალიტეტების დონეზე და სხვადასხვა სამინისტროში. ეს არის, როგორც ფიზიკური შრომა, ასევე, გარკვეული საოფისე საქმიანობები. რა თქმა უნდა, ამას დასაქმების სააგენტოს ძალიან აქტიური ჩართულობა სჭირდება. აღსანიშნავია ის, რომ თითოეულ დასაქმებულს სოციალური კომპენსაციის პაკეტი არ შეუჩერდება, პირიქით, ოთხი წლის განმავლობაში, სტაბილურად შეუნარჩუნდებათ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი დამატებით საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაერთვებიან“.

ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ დასაქმების პროგრამა სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნას ისახავს მიზნად. მისივე თქმით, განვითარების ამ ეტაპზე, საქართველოში ბევრი პრობლემაა, რასაც გადალახვა სჭირდება და იქვე დასძინა, რომ აუცილებელია, ქვეყანაში ინვესტიციები განხორციელდეს:

„ჩვენ გვინდა, რომ ამ პროექტით, სოციალურად დაუცველებს შემოსავლის ზრდის დამატებითი შესაძლებლობები გავუჩინოთ ანუ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად სოციალურ ფენას ცხოვრების უკეთესი პირობები, სწორედ დასაქმების მხრივ შევუქმნათ. როგორც პრემიერმა აღნიშნა, 200 000-ზე მეტი მოქალაქე შრომისუნარიანია, რომლებსაც ზრუნვის სხვა პრობლემები არ სჭირდებათ და მათ შეუძლიათ დასაქმებაში ჩართვა. ეს არის ძალიან დიდი სამუშაო რესურსი და ამავდროულად, ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც განვითარების ამ ეტაპზე ძალიან ბევრი პრობლემა აქვს გადასალახი. მათ შორის, ძალიან ბევრი ინფრასტრუქტურული და საჯარო საჭიროებებია ამ ქვეყანაში მოსაგვარებელი. ტემპი, რომლითაც ქვეყანა ტრანსფორმაციას განიცდის, რა თქმა უნდა, არავოსთვისაა დამაკმაყოფილებელი. ჩვენს ქვეყანას ძალიან დიდი მემკვიდრეობა აქვს 90-იანი წლების სამოქალაქო ომიდან, თუ ტერიტორიების დაკარგვიდან მოყოლებული. შესაბამისად, ძალიან ბევრი ინვესტიცია გვჭირდება, როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი, რათა ეკონომიკა იმგვარად დავაჩქაროთ, რომ საუკეთესო შედეგები მივიღოთ“.

ლევან დავითაშვილის განცხადებით, ის სამუშაო რესურსი, რომელიც ქვეყანაშია, მთავრობამ ეფექტიანად უნდა გამოიყენოს. კითხვაზე, რატომ შეირჩა საზოგადოებრივი დასაქმება სოციალურად დაუცველი პირებისთვის, ლევან დავითაშვილმა უპასუხა, რომ იმას, რასაც კერძო სექტორი, ქვეყნის ეკონომიკა ვერ აგენერირებს, მთავრობამ საკუთარი ინიციატივით უნდა შეავსოს და იქვე დასძინა, რომ ეს გამიზნული სამუშაო ადგილები უნდა იყოს და აუცილებლად ქვეყნის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს.

ორი დიდი საიდუმლო – 9 თებერვლიდან 12 თებერვლამდე

ნინო დოლიძე

... იმ დღეს თოვდა, მაგრამ ეს თოვლი თეთრი კი არა, სისხლისფერი იყო... იმ დღეს საქართველოში „წითელი ვირუსი“ გავრცელდა, ვირუსი, რომლის სამკურნალო ვაქცინის „გამოგონებასაც“ ათეულობით წელი დასჭირდება... თავდაპირველად ვაქცინას დადებითი ეფექტი ექნება და სენს თითქოს დაამარცხებს... ამ ვაქცინას „ეროვნულ მოძრაობას“ დაარქმევენ, მაგრამ მერე, წლები რომ გავა, წითელი დაავადება „გაცოცხლებას“ დაიწყებს, ეროვნული მოძრაობაც მინავლდება და ვიღაცები 1921 წლის 25 თებერვლის რეინკარნაციას შეეცდებიან. ეს „ვიღაცები“ მოდერნიზებული ბოლშევიკები იქნებიან ანუ ახალი ყაიდის კომუნისტები, რომელთაც „37 მანეთის“ სევდა წალეკავს. მათ მარო მაყაშვილისა თუ სხვა იუნკრების პატრიოტულ სულისკვეთებაშიც ეჭვი შეეპარებათ და 21-ე საუკუნეში გული ისევ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტების იმპერიისკენ გაუწევთ...

ახლაც თებერვალია და მსოფლიოს, უფრო კონკრეტულად, ჩვენს მოკავშირე უკრაინას ისევ „ჩრდილოეთური ჭირი“ უტევს. საერთოდ, თებერვალი ერთობ მძიმე თვეა, ყოველ შემთხვევაში, საქართველოსთვის. გასაბჭოებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საქართველოს პრემიერი, ზურაბ ჟვანია, სწორედ თებერვალში აღესრულა (ამის შესახებ „ვერსიის“ წინა ნომერში დეტალურად ვწერდით); ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილიც თებერვალში გარდაიცვალა და ცხონებული ედუარდ შევარდნაძეც მეორედ სწორედ თებერვალში ააფეთქეს.

ასე რომ, „ვერსია“ სისხლიანი თებერვლის ერთგვარ ანატომიას გთავაზობთ, თუმცა შორეულ 25 თებერვალზე შემდეგ ნომერში ვისაუბროთ. ახლა კი ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებისა და 1998 წლის 9 თებერვალს, ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის პერიპეტიები გავიხსენოთ...

რას ემსახურებოდა ედუარდ შევარდნაძის აფეთქება და ვის ინტერესში შედიოდა ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილი

სიკვდილის აჩრდილი ლონდონში

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან (2005 წლის 3 თებერვალი), ზუსტად სამი წლის შემდეგ, კიდევ ერთი ტრაგედია ხდება – 2008 წლის 12 თებერვალს, ლონდონში, საკუთარ სახლში, 52 წლის ასაკში, ცნობილი ბიზნესმენი, ბადრი (არკადი) პატარკაციშვილი იღუპება. ოფიციალური ვერსიით, გარდაცვალების საბაბ-მიზეზი გულის შეტევა გახდა, თუმცა იმთავითვე გავრცელდა მოსაზრება, რომ პატრაკაციშვილი, შესაძლოა, მოწამლეს. ამ ვერსიას, ჟვანიას ტყვიით მოკვლის ვერსიის მსგავსად, არსებობის უფლება თუნდაც იმიტომ აქვს, რომ ბიზნესმენი სააკაშვილსა და მის გარემოცვასთან დაპირისპირებული გახლდათ, თუმცა ჟვანიასგან განსხვავებით, პატარკაციშვილი მაშინდელ სახელისუფლო ელიტას კრიჭაში ღიად ჩაუდგა – 2007 წლის 7 ნოემბერამდე, პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე სიტყვით გამოვიდა, 7 ნოემბრის შემდეგ ჩატარებულ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში (2008 წლის იანვარი) კი კენჭი იყარა.

ჟვანიასა და პატარკაციშვილის გარდაცვალების ხელწერა ერთნაირი, ცხადია, არაა, მაგრამ თავისთავად საგულისხმოა, რომ ისინი მეგობრები იყვნენ და, როგორც ამბობენ, სააკაშვილს პატარკაციშვილი სწორედ ჟვანიამ გააცნო.

ისე, რაკიღა სიტყვა მეგობრობაზე ჩამოვარდა, აქვე, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა წყაროს თქმით, ჟვანიას ნუგზარ საჯაიასთანაც კარგი ურთერთობა ჰქონდა ანუ ერთი ვერსიით, თუკი საჯაიამ თავი კი არ მოიკლა, არამედ, მოკლეს, შესაძლოა, ეს უფრო ე.წ. „რეფორმატორების“ იმ ფრთის ინტერესში ყოფილიყო, რომელი ფრთაც ნაცმოძრაობის ავანგარდში მოექცა(!). ერთ-ერთ წინა X-ფაილში, „ვერსია“ უშიშროების საბჭოს მდივნის სუიციდსა თუ მკვლელობას უკვე შეეხო და ამიტომ, ამ თემას აღარ გაშლის.

რაც შეეხება ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებას, საგულისხმოა, რომ ბიზნესმენის სიცოცხლის, ასე ვთქვათ, ხელოვნურად შეწყვეტის ვერსია ოჯახს არ გაუშლია. სამაგიეროდ, ისინი, რომლებიც ოლიგარქთან მეგობრობდნენ და მისი გარდაცვალების შემდეგ, პატარკაციშვილის ქვრივს დაუპირისპირდნენ, მინიმუმ, პირად საუბრებში უშვებენ ალბათობას, რომ ბადრი, შესაძლოა, მოკლეს. ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ამყარებს, რომ გარდაცვალების წინ, ლონდონში სააკაშვილის ხელისუფლების ძალოვანი მაღალჩინოსანი ჩადის, რომელიც პატარკაციშვილს, მისსავე სახლში, კონსპირაციულად ხვდება. მოგვიანებით, ამ შეხვედრის ფარული ჩანაწერი გავრცელდება, თუმცა დაზუსტებით დღესაც არავინ იცის, ეს ჩანაწერი ვინ გააკეთა – პატარკაციშვილმა თუ მისმა სტუმარმა...

ვერსიას, რომ ებრაული წარმოშობის ქართველი ბიზნესმენი, შესაძლოა, მოკლეს, კიდევ ერთი გარემოება ამაგრებს: პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლით ადრე, სახელდობრ, 2006 წელს, ასევე, ლონდონში, ალექსანდრე ლიტვინენკო იღუპება. ლიტვინენკო, რომელიც „ფსბ“-ს აგენტი გახლდათ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს უპირისპირდებოდა და, როგორც ამბობენ, გარკვეული „ბმა“ ბორის ბერეზოვსკისთან ჰქონდა.

მოგეხსენებათ, პატარკაციშვილი ბერეზოვსკის მთავარ დასაყრდენად ითვლებოდა. ბერეზოვსკი-პატარკაციშილის ტანდემი ვლადიმერ ვლადიმერის ძეს ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს დაუპირისპირდა. ეს ის დროა, როცა პატარკაციშვილი საქართველოში დაბრუნდა და ქართულ საზოგადოებრივ თუ ბიზნესცხოვრებაში აქტიურად ჩაერთო. მაშინდელი მოარული ხმით, პატარკაციშვილმა პუტინის რეპრესიებს თავი საქართველოში, ბერეზსოვსკიმ კი დიდ ბრიტანეთში გაქცევით დააღწია...

ცნობისთვის: ბადრი პატარკაციშვილის მეგობარი, ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი, რომლის კარიერაში „კაგებეშნიკური შტრიხებიც“ იყო, 2013 წლის 23 მარტს, პატარკაციშვილის მსგავსად, ლონდონში გარდაიცვალა. მაშინდელ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბიზნესმენმა თავი მოიკლა (საჯაიას სცენარი?!). სიკვდილამდე არცთუ დიდი ხნით ადრე, ბერეზოვსკიმ თავის გარდაცვლილ მეგობარსა და პარტნიორს, ბადრი პატარკაციშვილს ბრალი დასდო, რომ მათი საერთო აქტივები, რომლებსაც არასწორად მართავდა, მითვისა. ბერეზოვსკისა და პატარკაციშილის ოჯახს შორის დავა სასამართლომდეც მივიდა. არსებული ინფორმაციით, მოდავე მხარეები შეთანხმდნენ, თუმცა შეთანხების დეტალები დღემდე კონფიდენციალურია...

კიდევ ერთი მისტიკური სიმბოლურობა: რამდენიმე წლის წინ, 20 თებერვალს, ცნობილი გახდა, რომ გაერო-ში რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი გარდაიცვალა. ჩურკინი, რომელსაც გარდაცვალების მეორე დღეს 65 წელი შეუსრულდა, გაერო-ში ამ თანამდებობას 2006 წლიდან იკავებდა... რუსული მედიის ცნობით, ჩურკინი არ ავადმყოფობდა და მოულოდნელად გარდაიცვალა.

რა გახდა დიპლომატის სიკვდილის მიზეზი? – ამას, ალბათ, ვერასოდეს გავიგებთ. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ჩურკინს, პატარკაციშვილისა არ იყოს, გულმა უმტყუნა, მაგრამ ჩვენ, რიგით მოკვდავებს, ყოველთვის გვექნება ეჭვი, რომ ჩურკინი დიდი პოლიტიკური თამაშების ანაწერა გახდა.

საერთოდ, სპეცსამსახურებისთვის (როგორც რუსული, ასევე – დასავლურისთვის) ადამიანის გაქრობაზე ადვილი არაფერია. არასასურველ „მასტებს“, ანტიკური დროიდან მოყოლებული, ასე იცილებენ. საბჭოთა პროლეტარიატის ბელადი სტალინი კი ამბობდა, არ არის ადამიანი, არ არის პრობლემაო.

ასე რომ, პოლიტიკაში ჩართულო ქალბატონებო და ბატონებო, ისე არ გაიგოთ, რომ ყვავივით დაგჩხავით, მაგრამ თებერვალი ჯერ არ დამთავრებულა. ამიტომ, კარგი იქნება, თუკი სიფრთხილეს გამოიჩენთ, თან ხომ იცით, ქვეყანაში „ციანიდით შეიარაღებული წვეროსნები“ დადიან.

მოკლედ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა!..

დასასრული მე-4 გვერდზე

მე-3 გვერდიდან

არშემდგარი ტერაქტი

ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, ცხონებული ედუარდ შევარდნაძეც ფრთხილობდა, მაგრამ ორჯერ მაინც ააფეთქეს. 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტი უფრო, ასე ვთქვათ, შედეგიანი იყო – შევარდნაძე მსუბუქად დაშავდა, მაგრამ 9 თებერვალს, ამფეთქებლებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. მიუხედავად ამისა, 1998 წლის 9 თებერვალი ტერორიზმისა და დივერსიული საქმის ისტორიაში ისეა შესული, როგორც დღე – უპრეცედენტო თავდასხმისა, რომლის მსგავსსაც, იმხანად, მსოფლიო არ იცნობდა.

იმდროინდელი ქართული პრესის ელექტრონულ არქივში ვკითხულობთ:

„სამთავრობო ტრასაზე“, რასაც ყოველდღე გადის საქართველოს პრეზიდენტი, ათეულობით „ბოევიკი“ ჩასაფრდა საღამოს 19:00 საათიდან და მსხვერპლს 20:00 საათამდე ელოდა.

საბედნიეროდ, თავდასხმამ ფუჭად ჩაიარა. არც ერთი ჭურვი ედუარდ შევარდნაძის „მერსედესს“ არ მოხვდა ისეთი ტრაექტორიით და იმ ნაწილში, სადაც იგი მანქანის სალონში შეღწევას შეძლებდა.

ეს რომ მომხდარიყო, პრეზიდენტი უეჭველად დაიღუპებოდა, ვინაიდან ზღაპარია, თითქოს „ნაღმმტყორცნებმა „მერსედესი“ ვერ გახვრიტეს“ – „რპგ-7“ და „რპგ-9“, რომლებსაც ტერორისტები იყენებდნენ, არათუ „მერსედესის“ თხელ ტყვიაგაუმტარ საფარს, არამედ, ტანკების 30-სანტიმეტრიან ჯავშანსაც კი ხვრეტს.

ამრიგად, ედუარდ შევარდნაძე ბეწვზე გადარჩა. მისი პირადი დაცვის წევრებმა ყველაფერი იღონეს, რაც შეეძლოთ – მათ საკუთარ თავზე მიიღეს ცეცხლი და ტერორისტების „ყურადღება“ პრეზიდენტს მოაცილეს.

ორი მათგანი (ერთი – პირადი დაცვიდან ანუ ე.წ. ლიჩნიკი, მეორე – სპეცდანიშნულების რაზმიდან), ბრძოლისას სასიკვდილოდ დაიჭრა და დაიღუპა. შეიძლება ითქვას, დაცვამ ძალიან დიდი როლი შეასრულა შევარდნაძის გადარჩენაში, მაგრამ მთლიანობაში, პრეზიდენტის უშიშროების სისტემამ „ვერ იმუშავა“, ვინაიდან ამ სისტემის არსი თავდასხმის მოგერიებაში კი არ მდგომარეობს, არამედ, თავიდან აცილებაში.

რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, კულიკოვმა ბაქოში ქარაგმულად უთხრა ქართველ კოლეგას, რომ შევარდნაძეზე თავდასხმა მზადდებოდა – არა მხოლოდ დაცვა უნდა გაძლიერებულიყო (ეს გაკეთდა), არამედ, უნდა „გადაფარულიყო“ ყველა წერტილი, საიდანაც შეიძლებოდა იგი განხორციელებულიყო (ყოველ შემთხვევაში, რეგულარული მოძრაობის მარშრუტებზე მაინც).

მაგალითად, დღეს, იმავე წერტილიდან ტერორისტები თავდასხმას ვეღარ შეძლებდნენ იმ უბრალო მიზეზით, რომ როგორც კი პრეზიდენტი რეზიდენციიდან – კრწანისისაკენ მოძრაობას დააპირებს, ის ადგილი საგანგებოდ მოწმდება.

საკმარისი იყო 9 თებერვალს ეს გაეკეთებინათ და თავდასხმა ვეღარ განხორციელდებოდა – კორტეჟი არ დაიძვრებოდა, ვინაიდან შესაბამის შეტყობინებას ვერ მიიღებდა ამ წერტილიდან.

არადა, მონაკვეთი 300 არაგველის ძეგლიდან „კრწანისის“ ასახვევამდე ყველაზე „მოხერხებულია“ თავდასხმისთვის. ნებისმიერი სპეცსამსახური, ამ შემთხვევაში, იმსჯელებდა „პროვოკაციული დაშვებით“.

„მე რომ თავდასხმას ვაპირებდე, რომელ ადგილს შევარჩევდი?“ ვიმეორებ: სპეცსამსახურის უმთავრესი დანიშნულება პროფილაქტიკაა და არა უკვე განხორციელებული თავდასხმის მოგერიება – ახალგაზრდა მებრძოლთა სიცოცხლის ფასად.

ყოველივე ეს, ალბათ, მაინც ჩვენი სახელმწიფოებრივი გამოუცდელობის შედეგია. საქართველო მხოლოდ ახლა იწყებს სახელმწიფოს შენებას. ზოგი სწრაფად ახერხებს ამას, ზოგი – გვიან, თუმცა ისრაელი 1948 წელს დაარსდა, მაგრამ 1949 წელს, ამ ქვეყნის სპეცსამსახურები ასეთი ფორმის ტერაქტს არაფრის დიდებით არ დაუშვებდნენ. 1995 წელს, იცხაკ რაბინი

ორი დიდი საიდუმლო – 9 თებერვლიდან 12 თებერვლამდე

სხვა ფორმით მოკლეს: დემოკრატიულ ქვეყანაში ძნელია თავიდან აიცილო სიტუაცია, როცა ტერორისტი შეიძლება ზურგიდან მიეპაროს ხალხის მასაში მდგარ ლიდერს და ზურგში ესროლოს. 1998 წლის ტერაქტი საქართველოსთვის ნამდვილად სამარცხვინო იყო.

არა პირადი დაცვისთვის, არამედ, მთლიანად ქართული სახელმწიფოებრიობისთვის, რომელმაც ასეთი თავხედური დივერსიის თავიდან აცილება ვერ შეძლო.

დივერსია კი ნამდვილად „თავხედურად“ განხორციელდა. მასში მონაწილეობდა 5 ჩეჩენი და 12 თუ 13 ქართველი. ძირითადად, ქობალია-ელიავას ყოფილ დაჯგუფებათა მებრძოლები. რამდენიმე თვის შემდეგ, კაკო ელიავას ბუნტიც ამ მომენტთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. დივერსანტები მზადებას გადიოდნენ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მდებარე ბაზაზე. მათ ამზადებდა ინსტრუქტორთა „ინტერნაციონალი“, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა რუსეთის სპეცსამსახურებთან.

შეიძლება პირდაპირ ითქვას: ტერორისტული აქტი ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ, 1998 წლის 9 თებერვალს, რუსეთისა და იჩქერიის სპეცსამსახურთა ერთობლივი ოპერაცია იყო. „ზვიადისტები“ იარაღად გამოიყენეს, ოღონდ ბოლომდე არ ენდნენ და საკუთარი მებრძოლები გამოაყოლეს.

რუსეთის მოტივაცია, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს – კრემლს ყოველთვის სურდა და სურს საქართველოში სიტუაციის არევა, ქაოსისა და არეულობის პროვოცირება.

მაგრამ ჩეჩნეთს რაღა უნდოდა, მას თითქოს რატომ უნდა აძლევდეს ხელს საქართველოში დესტაბილიზაცია? ნუ ავჩქარდებით! რაკი ჯერჯერობით ვერ მიაღწიეს გროზნო-თბილისის საავტომობილო ტრასის გახსნას, იჩქერიის ლიდერებს „ერთობლივი ტერაქტით“ სურდათ მოსკოვისთვის დაემტკიცებინათ, რომ თუ რუსეთი სცნობს იჩქერიის სუვერენიტეტს, მიუხედავად 400-წლიანი ომისა, ჩეჩნეთი მზად არის, იქცეს რუსეთის „სტრატეგიულ მოკავშირედ კავკასიაში“ – ამერიკისა და დასავლეთის ინტერესთა საწინააღმდეგოდ.

ეს ფორმულა ჩემი მოგონილი როდია – იგი ღიად ჩამოაყალიბა ასლან მასხადოვმა ერთ-ერთ გამოსვლაში. არავითარი „კავკასიელობა“ ეს არ არის. აქედან ჩანს, რომ „კავკასიური ერთობაც“ ილუზია ყოფილა და სხვა არაფერი, ეს ილუზია გულუბრყვილო ქართველების გასაცურებლად მოიგონეს, რათა მახეში შევეტყუებინეთ.

9 თებერვლის ტერაქტის მთავარი „აღმასრულებელი“ (არა ორგანიზატორი, არამედ, „აღმასრულებელი“ ორგანიზატორები გროზნოსა და მოსკოვში არიან) გოჩა ესებუა, რომელიც გაეროს წინააღმდეგ, ჯიხაშკარის პროვოკაციის დროს, ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა „მოსკოველ ზვიადისტებთან“ – ქართულმა უშიშროებამ მოკლა; თუმცა, რასაკვირველია, სჯობდა დაეპატიმრებინათ, მაგრამ აქ არაპროფესიონალიზმი გამომჟღავნდა.

მთავარი ახლა ის არის, „ზვიადისტების“ სასამართლოზე მაინც ითქვას სიმართლე და ქართული საზოგადოება თვალნათლივ დარწმუნდება მოსკოვი-გროზნოს თითქოსდა დაუჯერებელი ალიანსის არსებობაში საქართველოს წინააღმდეგ, თუმცა დაპატიმრებულები ბევრს ვერაფერს იტყვიან, ვინაიდან „ბევრი“ ნამდვილად არ ეცოდინებოდათ – ისინი ხომ უბრალო ტიკინები იყვნენ, რომლებიც საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მომართეს საქართველოს მტრებმა“.

* * *

1998 წლის 9 თებერვლის შემდეგ, საქართველოში ათასი უბედურება მოხდა, თუმცა საბედნიეროდ, სახელმწიფოს პირველ პირებზე შეიარაღებული თავდასხმა არავის უცდია. როგორც ჩანს, გავიზარდეთ, ან სულაც, თავდასხმებმა სოცალურ ქსელებში გადაინაცვლა.

ასეა თუ ისე, ამ მხრივ, საწუწუნო არაფერი გვაქვს, მაგრამ კარგი იქნება, თუ ქართულ პოლიტიკაში ჩართული სუბიექტები მხოლოდ იმაზე არ იქნებიან ორიენტირებულნი, მესამე პრეზიდენტი ციხეში თავს როგორ გრძნობს, არამედ, უახლეს ისტორიას თვალსაც გადაავლებენ და წარსულს, მინიმუმ, იმისთვის მაინც გაიხსენებენ, რომ აწმყო ააშენონ, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენს პოლიტელიტას კითხვა და ხანდახან აზროვნებაც ეზარება. არადა, მსოფლიოში ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი ამბები ხდება, იგივე უკრაინასთან დაკავშირებით, თუმცა ჩვენთან ყველაფერი უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის მიღებითა და სოლიდარობის აქციის გამართვით შემოიფარგლება. იმაზე კი არავინ მსჯელობს, რა გველის, თუკი რუსეთი უკრაინაში კიდევ ერთხელ შეიჭრება...

ცვლილებები აღმასრულებელ ხელისუფლებაში – სად წავა ნათია თურნავა

მაკა რუხაძე

გასული კვირა მთავრობაში ცვლილებებით დაიწყო. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, აღმასრულებელი ხელისუფლების გუნდი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ დატოვა. ეკონომიკის მინისტრის პოსტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა, ლევან დავითაშვილმა ჩაიბარა, ხოლო ლევან დავითაშვილი მისმა მოადგილემ, ოთარ შამუგიამ ჩაანაცვლა. კიდევ ერთი ცვლილებით, ირაკლი ღარიბაშვილმა საზოგადოებას ახალი ბიზნესომბუსდმენი წარუდგინა – ამ პოსტზე, პრემიერმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, ოთარ დანელია წარადგინა. ცვლილებამდე, ბიზნესომბუდსმენის მოვალეობას ნინო კვეტენაძე ასრულებდა, რომელიც მანამდე მოადგილე იყო. „ვერსიის“ მკითხველებს კარგად ახსოვთ, რომ წლების წინ, ოთარ დანელია ჯერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, შემდეგ – მინისტრი გახლდათ, ამის შემდეგ, „ქართული ოცნების“ სახელით, კენჭი პარლამენტშიც იყარა და აგრარულ კომიტეტსაც ხელმძღვანელობდა. ბოლოს კვლავ აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაინაცვლა და ვიდრე პრემიერი ბიზნესომბუდსმენად წარადგენდა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე იყო.

ვინ არის და რა ქონებას ფლობს ირაკლი ღარიბაშვილის გუნდის ახალი წევრი, ოთარ შამუგია

სად წავა ნათია თურნავა?

ესაა კითხვა, რომელიც ერთი კვირაა, საზოგადოებას აინტერესებს. თუმცა, იმავე საზოგადოებამ აწ უკვე ექსმინისტრის პასუხიც მოისმინა – პროფილს ვიცვლიო. პროფილის შეცვლაში კი, სავარაუდოდ, ბიზნესში დაბრუნება იგულისხმა. ნათია თურნავას წასვლა მედიამ ჯერ კიდევ 2021 წლის დეკემბერში იწინასწარმეტყველა, თუმცა მმართველი პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე, ქალბატონმა მინისტრმა ყველას ნიშნი მოგვიგო – არსად წასვლას არ ვაპირებო. მისი „არსად წასვლა“ მხოლოდ თვენახევრით გაგრძელდა, რადგან ირაკლი ღარიბაშვილმა თურნავა მაინც ჩაანაცვლა. თანაც არც მეტი, არც ნაკლები – ლევან დავითაშვილით. ეს იმიტომ, რომ სწორედ თურნავა-დავითაშვილი იყვნენ მთავარი მომლაპარაკებლები „რიონის ხეობის მცველებთან“. დიახ, „ბოროტი ხმები“ ამბობენ, ნათია თურნავა ჰესების სკანდალს შეეწირაო... ასეა, თუ ისე, ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ მინისტრს და აღნიშნა:

„რაც შეეხება ქალბატონ ნათიას, მინდა, ჩემი და მთავრობის სახელით მადლობა ვუთხრა მას გაწეული სამსახურისთვის. ის სამი წელი იყო ამ თანამდებობაზე მინისტრი, ბევრი საქმე გააკეთა სამინისტროში. ნათია იყო და არის ჩვენი გუნდის წევრი და რჩება ჩვენი გუნდის წევრად. ნათიას აქვს თავისი გეგმები და თავისი ხედვები, სურვილი. ამის თაობაზე თავად მოგახსენებთ. მინდა, მადლობა ვუთხრა და წარმატება ვუსურვო“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ნათია თურვანამ მადლობა გადაუხადა პრემიერს და განაცხადა, რომ რჩება გუნდის წევრად და სამომავლოდ, პროფილის შეცვლას აპირებს:

„მე მაქვს სურვილი, რომ გარკვეულწილად, შევიცვალო სფერო, სხვა ასპარეზზე მოვსინჯო ჩემი ძალები, რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდის ერთგულ წევრად ვრჩები. ჯერჯერობით, განვიხილავ რამდენიმე მიმართულებას, როგორც კი იქნება საბოლოო გადაწვეტილება, რა თქმა უნდა, ამას გავანდობ საზოგადოებას“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

ახლა კი, თვალი გადავავლოთ ნათია თურნავას შთამბეჭდავ დეკლარაციას და ვნახოთ, რა ქონების მფლობელია საკმაოდ მდიდარი ექს-მინისტრი, თავის ბიზნესმენ მეუღლესთან – დავით ვეშაპიძესთან ერთად.

ბიზნესმენი დავით ვეშაპიძე 50%-იანი წილის მფლობელია შპს „კავკასუს მენეჯმენტ კონსალტინგ საქართველოში“, თუმცა იმავდროულად, „რუსთავის აზოტშიც“ მუშაობს, საიდანაც 2020 წელს, ხელფასის სახით, 130 157 ლარი მიიღო. 2020 წელს, 75 000 აშშ დოლარად, თბილისში, რევაზ ჯაფარიძის პირველ შესახვევში, 207 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი შეუძენია ბანკის სესხის საშუალებით.

2015 წელს, თბილისში, ზემო ვაკის პირველ შესახვევში, 380 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 100 000 აშშ დოლარად შეიძინა, 2011 წელს – 25 000 აშშ დოლარად, ლაგოდეხში, სოფელ ჰერეთისკარში, 33 006 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შეუძენია. სხვათა შორის, იგივე ფასად, იგივე სოფელში, თანაც 2011 წელსვე, დამატებით, 249 951 კვ.მ. მიწის ნაკვეთიც უყიდია. მეტიც, დავით ვეშაპიძე 239 746 ლარად შეფასებულ 320 კვ.მ. ფართობის დაუმთავრებელ მშენებლობასაც ფლობს თბილისში, ზემო ვაკის პირველ შესახვევში, N6-ში. ნათია თურნავას მეუღლე ფლობს ბათუმში, კობალაძის ქუჩაზე მდებარე ბინასაც, რომელიც 2017 წელს, 69 880 ლარად შეუძენია.

სხვათა შორის, ბათუმში, იმავე კობალაძის ქუჩაზე, ნათია თურნავა ფლობს 33.03 კვ.მ. ფართობის ფართის ბინას, რომელიც მისთვის უჩუქებიათ. ასევე, ექსმინისტრის სახელზეა თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე 130.79 კვ.მ. ფართობის ბინაც. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 2016 წელს, ნათია თურნავას მცხეთაში, სოფელ არაშენდაში, 1 615 კვ.მ. მიწის ნაკვეთი აჩუქეს. თბილისში, ამაღლების ქუჩაზე, 2010 წელს, 60 000 აშშ დოლარად, ნათია თურნავას 137.21 კვ.მეტრზე მეტი ფართობის ბინა შეუძენია. თურნავას სახელზე ფიქსირდება 2010 წელს, 6 400 აშშ დოლარად ნაყიდი 20.3 კვ.მ. ფართობის ავტოფარეხი თბილისში, ამაღლების ქუჩაზე.

ნათია თურნავას მეუღლის, დავით ვეშაპიძის სახელზეა რეგისტრირებული 2011 წელს, 43 000 აშშ დოლარად ნაყიდი – Mercedes Benz ML-ის მარკის ავტომობილი, რომელიც 2011 წელსაა გამოშვებული.

ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ნათია თურნავა 15%-იან წილს ფლობს შპს „სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრში“, სადაც მისი პარტნიორები არიან მზია ჯაში, მერი ცომაია, ელენე კოჭლამაზაშვილი და მაყვალა ვანიშვილი. გარდა ამისა, ნათია თურნავა სს „კონსტანტა საქართველოს“ აქციონერიცაა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრობის დროს, 12 თვეში, შემოსავლის სახით, ნათია თურნავას 60 300 ლარი მიუღია. 2018 წლის ივლისში, „საქართველოს ბანკიდან“ 185 200 აშშ დოლარის იპოთეკური სესხი აუღია, რომელიც 2033 წლის სექტემბერში უნდა დაფაროს. თიბისი ბანკში, ექსმინისტრს 325 000 ევროს იპოთეკური სესხი უფიქსირდება, რომელიც 2018 წლის მაისში აუღია და 2033 წლის ივნისში უნდა დაფაროს.

ვინ არის და რა ქონებას ფლობს ოთარ შამუგია?

წარდგენისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი, ოთარ შამუგია აფხაზეთიდანაა. სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ შამუგია 1976 წლის 30 მაისს, სოხუმში დაიბადა და სკოლაც სოხუმში დაუმთავრებია. ამის შემდეგ, 1992-1998 წლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდა.

ახლა ვნახოთ, როდის და სად მუშაობდა მთავრობის შემადგენლობის ახალი წევრი: 1998-1999 წლებში, შამუგია „საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტში“, მთავარ სპეციალისტად მუშაობდა; 1999-2004 წლებში, „საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის“ ცენტრალური ბუღალტერიის უფროსი (მთავარი ბუღალტერი) გახლდათ; 2004-2005 წლებში – შპს „საქართველოს რკინიგზის“ ქონების მართვის სამსახურის უფროსი იყო; 2005-2006 წლებში – შპს „საკონსულტაციო ჯგუფის“ ფინანსური დირექტორი; 2006 წელს – შპს „რეალ ქონსალტინგის“ ფინანსური დირექტორი გახლდათ; 2006-2007 წლებში – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბუღალტრო სამსახურის უფროსი (მთავარი ბუღალტერი); 2007-2011 წლებში – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საფინასო-საბუღალტრო სამსახურის უფროსი; 2011-2017 წლებში – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი; 2017-2017 წლებში – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი; 2017-2018 წლებში – აიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ დირექტორის მოადგილე; 2018-2018 წლებში – შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი; 2019 წელს – ააიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“ დირექტორი; 2020– 2022 წლებში – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე; 2019-2020 ააიპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ დირექტორის პირველი მოადგილე; 2022 წლის თებერვლიდან – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

ოთარ შამუგია ფლობს ქართულ და რუსულ ენებს, ჰყავს მეუღლე – მარიამ სამხარაძე და სამი არასრულწლოვანი ვაჟი. სხვათა შორის, შამუგიას ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მეუღლე, მარიამ სამხარაძე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტად მუშაობს. ამ პოზიციაზე მუშაობისას, ანაზღაურების სახით, 2020 წელს, მინისტრის მეუღლემ 15 360 ლარი მიიღო.

ოთარ შამუგიას ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მის სახელზეა ორი ბინა თბილისში, რომლებიც 2017 წელს, ჯამში – 51 658 აშშ დოლარად შეუძენია. მეუღლის საკუთრებაშია ასევე ორი ბინა, აქედან ერთი უჩუქებიათ, ხოლო მეორე – 28 კვ.მ. ფართობის ბინა 10 000 ლარად შეუძენია.

დეკლარაციის შევსების დროს, ოთარ შამუგია „საქართველოს ბანკის“ ანგარიშზე ფლობდა 772 ლარს, ანაბარზე – 6 170 ლარს, ხოლო დანაზოგის სახით – 18 000 აშშ დოლარს. ამავე დეკლარაცის მიხედვით, ააიპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ დირექტორის პირველი მოადგილის პოსტზე, ხელფასის სახით, 2020 წელს, ოთარ შამუგიას 82 502 ლარი აუღია; სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის ბაზრებზე წვდომისა და მოქნილობის პროექტში კონსულტანტის სტატუსით – 27 048 ლარი მიუღია, ხოლო სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის პოსტზე, 2020 წლის 25 დეკემბრიდან, 31 დეკემბრის ჩათვლით ანუ მხოლოდ ექვს დღეში – 982 ლარი.

საჭიროა თუ არა ბუსტერის მერე ხელახლა აცრა

გვანცა პეტრიაშვილი

რა პრობლემები ექმნებათ ე.წ. გრძელი კოვიდის დროს პაციენტებს და რას ურჩევს ინფექციონისტი დამსაქმებლებს

ნორვეგიის სამეფოს ჯანდაცვის სამინისტროს უფროსი მრჩეველი, ზაზა წერეთელი სოციალურ ქსელში მათთვის, რომლებიც არასერიოზულად უყურებენ კორონავირუსით დაინფიცირებას, ვაქცინაციას ან ჰგონია, რომ ეს, უბრალოდ, გრიპია და მისი გადატანა აცრების გარეშე უკეთესიცაა, ახალ ინფორმაციას ავრცელებს. წერეთელი აღნიშნავს, რომ გაურკვეველია იმ ადამიანების ზუსტი რაოდენობა, რომელთა პრობლემებიც დაკავშირებულია ხანგრძლივ COVID-თან. ასევე, გაურკვეველია, ამ ჯგუფიდან რამდენს აქვს პრობლემები ამის გამო და რამდენია დაავადებული ფსიქიკური ჯანმრთელობის ან სხვა ქრონიკული დაავადებებით. წერეთლის თქმითვე, დამსაქმებლებმა უნდა იცოდნენ და მიიღონ შესაბამისი ნაბიჯები ამ მდგომარეობის მქონე თანამშრომლების მხარდასაჭერად. რამდენად ხშირია პოსტკოვიდური გართულებები, რა ტიპის გართულებები შეიძლება გამოვლინდეს და რამდენად რთულია გახანგრძლივებულ COVID-თან ბრძოლა? – „ვერსია“ ინფექციონისტ ალექსანდრე გოგინავას ესაუბრა.

– ბატონო ალექსანდრე, ორ წელზე მეტი გავიდა, რაც უხილავ ვირუსთან ბრძოლა გვიწევს. რა დასკვნები შეგვიძლია გავაკეთოთ ამ ეტაპზე?

– კორონავირუსი პირველად 2019 წელს გამოვლინდა, მას ჰყავს წინამორბედები, რომლებიც მისი მსგავსები არიან, თუმცა ახალი შტამი, სავარაუდოდ, მუტაციის შედეგად წარმოიქმნა. სამწუხაროდ, მას ისეთი უნარები აღმოაჩნდა, რამაც გამოიწვია პანდემია და შეეწირა რამდენიმე მილიონი ადამიანის სიცოცხლე. ასევე, დინამიკაში გამოჩნდა, რომ ხშირი მუტაციები ახასიათებს, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ დაახლოებით, სამ თვეში ერთხელ, ახალ-ახალი შტამი ჩნდება, თან ისეთი განსხვავებული, რომელსაც ეპიდსიტუაციის გაუარესება და არსებული, უკვე შექმნილი იმუნიტეტის გვერდის ავლა შეუძლია. ესაა მიზეზი, რომ პანდემია დღემდე გრძელდება.

კოვიდს, ასევე, ახასიათებს სასუნთქი გზების დაზიანება, განსაკუთრებით, „დელტა“-შტამს, რომელმაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა მთელი მსოფლიოს. კარგია, რომ სწრაფად შეიქმნა ეფექტური ვაქცინები, რომლებიც გამოიყენება ბევრ ქვეყანაში, მაგრამ ვერ მოხდა ვაქცინების ადმინისტრირება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იცით, რომ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, მოსახლეობის 80% აცრილია, განუვითარებად ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, ვაქცინაციის დონე ძალიან დაბალია. აქედან გამომდინარე, ვერ მოხერხდა, რომ იმუნური ფენა ჩამოყალიბებულიყო მთელ მსოფლიოში და ე.წ. ჯოგური იმუნიტეტი გამომუშავებულიყო. ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია. ვაქცინაციის პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება, მალე დავამთავროთ პანდემია. ექიმებისთვისაც საკმაოდ რთული დაავადებაა, მიუხედავა იმისა, რომ ორ წელზე მეტია გასული. დროთა განმავლობაში, იხვეწება კორონავირუსის მართვა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი. ჯერჯერობით, სამყაროსთვის ძალიან დიდი გამოწვევაა, თუმცა იმედი მაქვს, მალე დავამარცხებთ პანდემიას და ჩვენი ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება.

– ბოლო რამდენიმე კვირაა, ქვეყანაში ინფიცირების რეკორდული მაჩვენებელი გვაქვს, აკითხავენ თუ არა ადამიანები კლინიკებს პოსტკოვიდური გართულებებით?

– პოსტკოვიდური გართულებები საკმაოდ აქტუალური და მრავალფეროვანიცაა იმიტომ, რომ კორონავირუსი აზიანებს არა მხოლოდ სასუნთქ სისტემას, არამედ, სხვა ორგანოებს და ორგანოთა სისტემებსაც. აქედან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვა ჩივილით მოვიდნენ.

– ძირითადად, რა ტიპის ჩივილები და გართულებები ახლავს?

– გახანგრძლივებული ტემპერატურა, ადვილად დაღლა, სხვადასხვა ნევროლოგიური და სასუნთქი სისტემის პრობლემები. ასევე, შეიძლება იყოს გამონაყარი, რომელიც კორონავირუსამდე არ ჰქონია ადამიანს. შეიძლება, იყოს ენდოკრინოლოგიური დარღვევები, მაგალითად, დიაბეტის რისკების ზრდა.

ერთი სიტყვით, მინდა ვთქვა, რომ პოსტკოვიდური გართულებები საკმაოდ ხშირია და განსაკუთრებით იმ ადამიანებში, რომლებმაც მძიმედ გადაიტანეს ეს დაავადება. სამი-ექვსი თვის განმავლობაში, ასეთ ადამიანებს სჭირდებათ მონიტორინგი და შესაბამისად, შესაძლოა, გარკვეული კვლევებიც დასჭირდეთ.

– ბატონო ალექსანდრე, იმ ადამიანებმა, რომლებიც ვირუსის ადრეულ ეტაპზე დაინფიცირდნენ, როდესაც ვაქცინაცია ჯერ არ იყო დაწყებული, უფრო რთულად გადაიტანეს ვირუსი ანუ აცრა მნიშვნელოვანია, ხომ?

– ვაქცინა, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არის იარაღი პანდემიის დასასრულებლად და ასევე, აუცილებელია, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგით დავასრულოთ პანდემია. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მაღალ რისკჯგუფში არიან ანუ მასწავლებლები, ჯანდაცვის სისტემის თანამშრომლები, მათთვის ვაქცინაცია უალტერნატივოა. ქრონიკული დაავადებების მქონეებისთვისაც სრულფასოვანი ვაქცინაცია აუცილებელია, რადგან შევამციროთ მძიმე მიმდინარეობის რისკები და ლეტალობა.

– საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ვაქცინა არ არის აუცილებელი და უკეთესიც კია, აცრის გარეშე გადავიტანოთ კორონავირუსი, რათა გამოგვიმუშავდეს იმუნიტეტი. ამაზე რას იტყვით?

– ეს არასწორი მიდგომაა, რადგან აცრის გარეშე ვირუსის გადატანა მაღალ რისკებთანაა დაკავშირებული და შეიძლება, მძიმედ წარიმართოს. გადატანის შედეგად გამომუშავებული იმუნიტეტი მთელი ცხოვრების განმავლობაში არ რჩება და შეიძლება, რამდენიმე თვის განმავლობაში დაგვიცვას. მიუხედავად იმისა, კორონავირუსს გადავიტანთ თუ არა, ვაქცინაცია მაინც აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რადგან ხელს გვიწყობს, მსუბუქად გადავიტანოთ. თუ ვაქცინაციამდეც მსუბუქად გადავიტანეთ, ამის შემდეგ, უკვე აცრა გაახანგრძლივებს ჩვენს იმუნიტეტს.

– ვაქცინაციის პირველ კვირებში, ანტისხეულების დონე მაღალია, დროთა განმავლობაში კი უფრო ნელა მოქმედებენ იმუნური უჯრედები. რამდენად მნიშვნელოვანია სრულად აცრა ანუ ბუსტერ-დოზა და მოგვიწევს თუ არა სრულად აცრის შემდეგ კვლავ ვაქცინაცია?

– მოგვიწევს თუ არა ბუსტერ-დოზის შემდეგ ვაქცინაცია, ეს დამოკიდებულია ეპიდსიტუაციაზე. თუ „ომიკრონის“ გარდა, სხვა ახალი შტამი არ გამოჩნდა და პანდემია დასასრულისკენ წავა, ჩემი აზრით, ბუსტერის შემდეგ, ვაქცინაცია არ დასჭირდება მთელ მოსახლეობას, ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო მოსახლეობის დიდ ნაწილს, მაგრამ შესაძლოა, ვაქცინაცია რისკ-ჯგუფებისთვის იყოს აუცილებელი. ეს იმიტომ, რომ კორონავირუსი სამუდამოდ არსად წავა, პერიოდულად იქნება ეპიდაფეთქებები, რაც ენდემურად, გარკვეულ რეგიონებშიც გამოიწვევს ეპიდაფეთქებებს და როგორც გრიპის ვაქცინაა აუცილებელი რისკ-ჯგუფებისთვის, ასევე უნდა დარჩეს კოროვანირუსის ვაქცინაც. ვფიქრობ, თუ „ომიკრონის“ შემდეგ სხვა შტამი არ აღმოჩნდა, უახლოეს თვეებში, დიდი ალბათობით, წლის ბოლოსთვის, პანდემია უნდა დასრულდეს.

– ხანგრძლივი კოვიდი ისევ პრობლემაა. დამსაქმებლებმა როგორ უნდა იმოქმედონ იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც პოსტკოვიდური გართულებები აქვთ?

– ეს ძალიან აქტუალური საკითხია. დამსაქმებლებმა ხელი უნდა შეუწყონ თანამშრომლების რეაბილიტაციას და დაელოდონ სრულ გამოჯანმრთელებას იმიტომ, რომ მსგავსი პრობლემა ბევრს შეექმნა. ამის გამო, შესაძლოა, ადამიანმა სამსახური დაკარგოს და ასე რომ არ მოხდეს, მათი შრომითი უფლებები დაცული უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, დამსაქმებელმაც და ზოგადად, სახელმწიფომაც ხელი შეუწყონ ადამიანებს, რომლებსაც პოსტკოვიდური გართულებები აქვთ, რათა სრულფასოვანი რეაბილიტაცია შეძლონ და ცხოვრებაც ჩვეულ რეჟიმში გააგრძელონ.

უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით, თბილისის მერიამ ოთხ წელიწადში, 82 მილიონი ლარის ჯარიმა გამოწერა

მაკა რუხაძე

როგორ ებრძვის კახა კალაძე უკანონო მშენებლობებს – ოთხწლიანი „ომის“ ქრონიკები

2017-2021 წლებში, უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით, თბილისის მერიამ 4 200 სამართალდარღვევა გამოავლინა და 82 მილიონი ლარის ჯარიმა გამოწერა. საქართველოს პარლამენტში უკვე ინიცირებულია თბილისის მერიის კანონპროექტი, რაც დედაქალაქში, უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას გულისხმობს. 2014-2017 წლებში, მხოლოდ 3 500 დარღვევა გამოვლინდა და 19 მილიონი ლარის ოდენობის ჯარიმა დაიწერა. როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, უწყება უკანონო მშენებლობების პრობლემის მოგვარებასა და აღსრულების ეფექტიანობის გაუმჯობესებას კვლავ პარლამენტის დახმარებით გეგმავს. საუბარია იურიდიული სამსახურის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების ჩაბარების მექანიზმის სრულყოფაზე, რათა არაკეთილსინდისიერმა მშენებელმა, გადაწყვეტილების ჩაუბარებლობით, აღსრულების პროცესი არ შეაფერხოს.

მას შემდეგ, რაც დედაქალაქის მერად აირჩიეს, კახა კალაძემ უკანონო მშენებლობებს ნამდვილი ომი გამოუცხადა. მეტიც, უკანონო მშენებლობების აღსაკვეთად, მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ღონისძიება გაატარა. კალაძე ამბობს, რომ უკანონო მშენებლობები ყოველთვის დედაქალაქის პრობლემა იყო, რასაც 2017 წლიდან ბრძოლა გამოუცხადა. მისივე თქმით, 2017 წლიდან, თბილისის მერიამ უკანონო მშენებლობებზე ჯარიმების გაზრდა დაიწყო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. კახა კალაძის განმარტებით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომებიც სწორედ ამიტომ შემოიღეს.

„რაც შეეხება უკანონო მშენებლობებს, თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს (დედაქალაქის მერმა ასე ნაციონალური მოძრაობის წევრებს მიმართა, – ავტ.), უკანონო მშენებლობებზე ჯარიმები 3 000-დან 10 000 ლარამდე იყო. როდესაც კორპუსი შენდება, იქ მილიონებზეა საუბარი. შესაბამისად, როცა კომპანიები ამხელა მოგებაზე გადიან, მათთვის ჯარიმის ეს ოდენობა არაფერს წარმოადგენს. ჩვენ კი, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ჯარიმების გაზრდა დავიწყეთ და კატეგორიების მიხედვით, 8 000-დან 50 000 ლარამდე გავზარდეთ, თუმცა პრაქტიკაში ვნახეთ, რომ საკმარისი არც ეს იყო. ამიტომ, უკანონო მშენებლობების შესაჩერებლად, საქართველოს პარლამენტის დახმარებით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები შემოვიღეთ. ვფიქრობ, ამით უკანონო მშენებლობებს წინ აღვუდგებით და შევაჩერებთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მაშ, ასე, ყველაფერი 2017 წლის გვიან შემოდგომაზე დაიწყო, როდესაც თბილისის ახლადარჩეულმა მერმა, კახა კალაძემ უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა. პირველი ინიციატივა 2018 წლის დასაწყისშივე გახდა ცნობილი, როდესაც თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობასთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევისთვის დადგენილი სანქციები გაამკაცრა. მაშინ, დედაქალაქის ახლადარჩეულმა მერმა განმარტა, რომ მოქმედი კანონი უსაფრთხოების წესების დარღვევაზე, შეუსაბამოდ დაბალ სანქციებს აწესებდა. ასევე, შეუსაბამოდ დაბალი სანქციები იყო დაწესებული უნებართვო მშენებლობებისა და შესაბამისი სამსახურების მიერ მშენებლობების შეჩერების დაუმორჩილებლობაზე. კალაძის წარდგენილი ცვლილებით კი, უსაფრთხოების წესების დარღვევაზე საჯარიმო თანხა 3 000 ლარიდან 30 000 ლარამდე გაიზარდა:

„მინდა, პარლამენტს მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადო. ცვლილებები, რომლის განხორციელებასაც ვაპირებთ, სამშენებლო ობიექტებზე უსაფრთხოების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია. დედაქალაქში ძალიან ბევრი მშენებლობა მიმდინარეობს და ქალაქის მერიისთვის, თითოეული ჩვენგანისთვის იქ მომუშავე ადამიანების უსაფრთხოება ძალიან მნიშვნელოვანია. არსებული კანონმდებლობით, როდესაც რაიმე დარღვევა იკვეთებოდა, პირველ შემთხვევაში, მათ მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება ეძლეოდათ, შემდეგ 3000-ლარიანი ჯარიმა იყო, რომელიც ყოველ დარღვევაზე იზრდებოდა. ცვლილებებით, პირველივე დარღვევაზე ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით განისაზღვრება იმ კონკრეტულ შემთხვევებზე, სადაც მშენებლობა მიმდინარეობდა და დარღვევების გამო, შეჩერებული იყო“, – ასე განმარტა სანქციების გამკაცრება კახა კალაძემ.

კალაძისვე განცხადებით, მშენებლობის პროცესის შეჩერების მიუხედავად, თუ კომპანია მაინც განაგრძობს მუშაობას, 50 000 ლარით ჯარიმდება! იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა და მასზე უკანონო მშენებლობა მიმდინარეობს, ჯარიმის ოდენობა 25 000 ლარით, ხოლო კერძო საკუთრებაზე – 20 000 ლარით განისაზღვრა:

„ვფიქრობ, ეს ჯარიმები მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ არსებული პრობლემები მოვაგვაროთ. არსებობს მენტალური პრობლემაც, რაც სამშენებლო სამუშაოების დროს, უსაფრთხოების თვალსაზრისით იკვეთება. ჩვენ გვქონდა კონსულტაციები პრემიერ-მინისტრთან, ეკონომიკურ გუნდთან და ამ ცვლილებებს აქვს მაქსიმალური მხარდაჭერა, რომელსაც ვახორციელებთ. შეხვედრა გვქონდა მენაშენეთა ასოციაციასთან და მათი მხრიდანაც მაქსიმალური თანადგომაა“, – დასძინა კალაძემ.

ცვლილებას დაექვემდებარა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 51-ე მუხლიც. შესაბამისად, თბილისის ტერიტორიაზე, მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა, 5 000 ლარის ნაცვლად, გამოიწვევს დაჯარიმებას 50 000 ლარის ოდენობით. კანონის აღსრულებას კი, თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს.

ამ ცვლილებებით გამკაცრდა სანქციები, ზოგადად, უნებართვო მშენებლობაზე. კერძოდ, სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, საჯარიმო სანქცია 10 000 ლარიდან 25 000 ლარამდე გაიზარდა. ასევე, კერძო საკუთრებაში ახალი უნებართვო მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია, რომელიც პარამეტრებით მიეკუთვნება მესამე და მეოთხე კლასს, 20 000 ლარით ჯარიმდება. ასევე, გაიზარდა საჯარიმო სანქციები პროექტის დარღვევით მშენებლობის განხორციელებაზე, კერძოდ, მესამე და მეოთხე კლასის ობიექტებზე – 15 000 და 20 000 ლარით...

უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლა კი 2020 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში დაიწყო, როდესაც თბილისის მუნიციპალურმა ინსპექციამ სამგორის რაიონში, მოსახლეობის მიერ მიტაცებულ მიწაზე, უკანონოდ მშენებარე რამდენიმე მშენებლობის დემონტაჟი დაიწყო. მერიაში განმარტეს, რომ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სამშენებლო სამართალდამრღვევის 12 ფაქტი გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალურმა ინსპექციამ რამდენჯერმე გააფრთხილა კანონდამრღვევები, როგორც სიტყვიერად, ასევე, წერილობით, ამ გაფრთხილებას რეაგირება არ მოჰყოლია – მოსახლეობას თავადვე უნდა განეხორციელებინათ დემონტაჟი. აქედან გამომდინარე, მუნიციპალურმა ინსპექციამ, კანონის შესაბამისად, დემონტაჟის პროცესი დაიწყო:

„ყველა ვთანხმდებით, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრ ადამიანს უჭირს, გვყავს ბევრი ადამიანი, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ჩვენი თანადგომა და მხარდაჭერა, მაგრამ ეს ადამიანები პატივს სცემენ კანონს, შეზღუდვებს, რეგულაციებს, ყველაფერს იმას, რაზეც დგას სახელმწიფო. რომ არა კანონისადმი პატივისცემა, დღეს, ყველა ეს ადამიანი შეძლებდა სახლის უკანონოდ აშენებას და თქმას, რომ ეს მისი საკუთრებაა და მას არ უნდა შევეხოთ. ეს არის უსამართლობა და არავინ, არცერთი კანონმორჩილი მოქალაქე არ დაეთანხმება მსგავს უკანონობას! ჩვენ კარგად გვესმის, რომ ქვეყანაში კვლავ არასახარბიელო სოციალური ფონია, განსაკუთრებით, პანდემიის პირობებში, თუმცა სახელმწიფოს კუთვნილი მიწების დატაცება, მოპარვა წახალისებული არ და ვერ იქნება, ყოველ შეთხვევაში, ჩემი მერობის პირობებში“, – ასე განაცხადა კახა კალაძემ სამგორში, უკანონო მშენებლობების დემონტაჟის შემდეგ.

მისივე თქმით, ბოლო წლებში, მოქალაქეებმა, რომელთაც აქვთ უძრავი ქონება რეგიონებში, ხოლო ზოგიერთ მათგანს სხვის სახელზეც უფიქსირდება ქონება, დაიწყეს უკანონო მშენებლობები თბილისში, სახელმწიფოს კუთვნილ მიწებზე. როგორც კალაძემ განმარტა, ეს მიწა არ არის კერძო პირის საკუთრება, ეს არის ჩვენი, ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქის ქონება და ეს პროცესი ამ ფორმით ვერ გაგრძელდება.

„გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქმე გვაქვს თაღლითურ სქემასთან, რომლის უკან დგანან გარკვეული პირები, რომლებიც ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, მოქალაქეებს კანონდარღვევისკენ უბიძგებენ. თბილისის მერია შესაბამის უწყებას მიაწვდის ყველა მასალას, რათა დაიწყოს საქმის მოკვლევა. ამ ადამიანებმა ძალიან კარგად იციან, რომ ორივე ქმედება – მიწების დატაცებაცა და უკანონო მშენებლობაც კანონით დასჯადია, თუმცა ისინი არ ითვალისწინებენ არცერთ გაფრთხილებას და აგრძელებენ ამ უკანონო ქმედებებს. ყველასთვის ცნობილია, თუ რა სასჯელს ითვალისწინებს დანაშაული, თუ ადამიანი 200-300 ლარს უკანონოდ მიითვისებს. ამავდროულად, სახელმწიფო მიწების მიტაცება არათუ დანაშაულად ითვლება, პირიქით, ეს ადამიანები პრეტენზიას უყენებენ სახელმწიფოს. სწორედ ამიტომ, ჩვენ გვიწევს ამ მშენებლობების დემონტაჟი, რადგან პროცესის შეჩერება სხვაგვარად შეუძლებელია. სახელმწიფოს პრინციპული პოზიციაა, რომ მიწების დატაცება და უკანონო მშენებლობები არ იყოს დაშვებული და თუ სადმე მსგავსი ქმედება ხორციელდება, აღიკვეთოს“, – აღნიშნა კალაძემ.

რაც შეეხება იმ მოქალაქეებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი, თბილისის მერიაში მოქმედებს სპეციალური პროგრამა, რომლის წლიური ბიუჯეტი, დაახლოებით, 7 მილიონი ლარია. ყოველწლიურად, თბილისის მერია ისეთ ადამიანებსა და ოჯახებს, რომლებსაც საცხოვრებელი არ გააჩნიათ, ეხმარება. მერიას ეს ხალხი ქირით გაჰყავს და ეს პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება. 2021 წელს, სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით, თბილისის ბიუჯეტი 350 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

SOS! – TikTok-ზე სასიკვდილო თამაში ვრცელდება!

ემილი ფეიქრიშვილი

სოციალურ ქსელ TikTok-ზე ხშირად შეხვდებით გამოწვევებს, რომლებიც ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს გამოწვევები მთელ მსოფლიოში ვირუსულად ვრცელდება და მასში უამრავი მომხმარებელი ერთვება. ერთ-ერთი მათგანის დროს, „ჩელენჯის“ მონაწილეების ტვინს არ მიეწოდება საკმარისი რაოდენობით ჟანგბადი და საბოლოოდ, ყველაფერი ფატალურად მთავრდება. აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრის (CDC) ინფორმაციით, სახიფათო თამაშს 80 ადამიანზე მეტის სიცოცხლე ემსხვერპლა. გასულ წელს, ამ დავალების შესრულებისას, 12 წლამდე ასაკის ოთხი ბავშვი გარდაიცვალა.

კვლევა აჩვენებს, რომ ბევრ მშობელს სასიკვდილო თამაშის შესახებ არაფერი გაუგია, ამიტომ მათ, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს მნიშვნელოვან ინფორმაციას ვაწვდით, რათა სასიკვდილო თამაშის ე.წ. გამაფრთხილებელი ნიშნები ამოიცნონ.

მშობლებო, ეს წერილი აუცილებლად წაიკითხეთ და შვილები დაღუპვას გადაარჩინეთ!

რას ფიქრობენ მოზარდები „ტიკ-ტოკზე“ არსებულ სახიფათო თამაშებზე, რამდენად აქვთ გაანალიზებული მოსალოდნელი საფრთხე და როგორ ცდილობენ მის თავიდან აცილებას? ამ თემებზე, ერთ-ერთი „ტიკტოკერი“ მოზარდი თავად გვესაუბრა:

„ხშირად შემხვედრია არაერთი სახიფათო გამოწვევა „ტიკ-ტოკზე“, როდესაც საჭიროა საკუთარი ჯანმრთელობის გარისკვა, მაგრამ თამაშის დროს, ამაზე არ ვფიქრობთ და მოტივირებულები ვართ, „ჩელენჯი“ შევასრულოთ, რადგან მას საზოგადოების გამოხმაურების მოსაპოვებლად ვაკეთებთ. გამოწვევის შესრულების დროს, პროცესიც სასიამოვნოა იქამდე, სანამ გარკვეული ზიანი არ მოგვადგება. მაგალითად, ეს იქნება დაცემით გამოწვეული სახიფათო ილეთის გაკეთების დროს, თუ სუნთქვის შეკავებისას მოყენებული ზიანი.

გარკვეული გამოწვევების შესრულება, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია. მაგალითად, 3 წუთის განმავლობაში, ჰაერის გარეშე ანუ სუნთქვის შეკავების დროს, ვიდეოს გადაღება.

პირადად მე, უკვე ინფორმირებული ვარ, რომ ჯანმრთელობისთვის სახიფათოა მსგავს გამოწვევაში ჩართვა და ვცდილობ, „ტიკ-ტოკი“ ჩემთვის გასართობი პლატფორმა იყოს, რომლის გამოც, გარისკვა არ მომიწევს. ისიც ვიცი, რომ ჩემი რამდენიმე მეგობარი, ვინც ასევე, „ტიკტოკერია“, რისკავს ჯანმრთელობით, მაგრამ მათ არ აქვთ ინფორმაცია, რამდენად მავნებელი შეიძლება აღმოჩნდეს ეს ყველაფერი“.

თუ ჟანგბადი 3 წუთის განმავლობაში არ მიეწოდება, ტვინი ზიანდება და შედეგად, შესაძლოა, სიკვდილი დადგეს, ამ დროს ტვინს იგივე ემართება, რაც დახრჩობის, ან გულის შეტევის დროს ხდება. ნიშნების ჩამონათვალში, რაც, შესაძლოა, ჰქონდეს მოზარდს, რომელმაც „ტიკ-ტოკ“ გამოწვევაში ჩართვა სცადა, ჩასისხლიანებული თვალებიცაა, ასევე, უცნაური კვალი კისერზე, თავის ძლიერი ტკივილი...

როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, თუ მოზარდი ინტერნეტ-დამოკიდებულია, აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს და ამ დროს, მშობელს არ აქვს ინფორმაცია შვილის საქმიანობაზე? – „ვერსია“ ბავშვთა ფსიქოლოგ მარიამ გოგიაშვილს ესაუბრა:

„ინტერნეტ-დამოკიდებულება დაავადებაა, რომელსაც თავისი მიმდინარეობა, ხანგრძლივობა და გამწვავებები აქვს. ინტერნეტ-დამოკიდებულებას იწვევს თავად ვირტუალური სამყარო, მიუხედავად იმისა, რა საქმიანობას ანხორციელებს ადამიანი ამ სივრცეში. ეს არის ინტერნეტის გადაჭარბებული მოხმარება და მის რაციონალურ გამოყენებაზე კონტროლის დაკარგვა.

დღევანდელი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, მოზარდებს უწევთ დიდი დრო გატარონ ონლაინში, მაგალითად, დისტანციური სწავლებისას, ამიტომ მნიშვნელოვანია, ბავშვები თავისუფალ დროს, ეკრანთან არ იყვნენ. გარდა ამისა, სოციალური ქსელები საფრთხის შემცველია. სქესობრივი მომწიფების პერიოდში მყოფ ადამიანს, რომელიც ჯერ არ არის სათანადოდ ჩამოყალიბებული, შესაძლოა, არასწორი დამოკიდებულებები და მოლოდინები შეექმნას რიგ საკითხებზე.

დღევანდელი ჩვენი თემაც სწორედ ამის გამოძახილია. მოზარდობის ასაკის ბავშვებში პოპულარული ადამიანი ავტორიტეტს წარმოადგენს, ვიდრე, მაგალითად, ოჯახის წევრი. ამიტომ წახალისებული „პოპულარული ქცევა“, თამაში, რაც უნდა სახიფათო იყოს მოზარდისთვის, მისი ინტერესის სფეროა და უჭირს რისკების შეფასება, რაც შესაძლოა, სავალალო შედეგით დასრულდეს.

მნიშვნელოვანია, მშობელმა გააკონტროლოს მოზარდი, რას ნახულობს, რა ტიპის აქტივობითაა დაკავებული და ეს რამდენად უსაფრთხოა. ასევე, უნდა შეეცადოს, რომ მოზარდმა ინტერნეტი ზომიერად გამოიყენოს. წართმევა, კონფლიქტი გამოსავალი არაა და სჯობს, მშობელმა ჩანაცვლების მეთოდით იხელმძღვანელოს, მათ შორის, მოზარდის ინტერესების გათვალისწინებით, იქნება ეს სამაგიდო თამაში, სუფთა ჰაერზე სეირნობა, თუ სამზარეულოში საქმიანობა და ა.შ. სწორედ, მოზარდისთვის საინტერესო სხვა საქმეებით უნდა ჩაანაცვლოს გაჯეტი. ეს საშუალებას მისცემს მშობელს, რომ შვილს დაუმეგობრდეს“, – ამბობს მარიამ გოგიაშვილი.

იმერეთის პოლიციამ დააკავა არასრულწლოვანი, რომელმაც რუსეთის მოქალაქეს მობილური გასტაცა და მიიმალა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქუთაისში მომხდარი ძარცვის ფაქტი გახსნეს, დანაშაულის ჩადენაში მხილებულია 2004 წელს დაბადებული ი.ო.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 11 თებერვალს, ი.ო.-მ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, საქართველოში მყოფ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს – 1991 წელს დაბადებულ ა.ბ.-ს, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, მობილური ტელეფონი გასტაცა და მიიმალა.

სამართალდამცველებმა ნაძარცვი მობილური ტელეფონი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ძალადობით ჩადენილ ძარცვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

კასპში, სოფელ ახალქალაქში, თანასოფლელის გაზრახ მკვლელობის ფაქტზე, პოლიციამ ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული გ.ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქში, ურთიერთშელაპარაკებისას, სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა თანასოფლელს – 1976 წელს დაბადებულ ა.ს.-ს. პოლიციამ ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

სამართალი

№6 16 თებერვალი 2022 წ

ელიტური ბორდელის საიდუმლო – რატომ მოკლა 80 წლის მოხუცმა ბორდელის მეპატრონე

ბათო ჯაფარიძე

საქართველოში პროსტიტუცია ლეგალიზებული დღემდე არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფასიანი ინტიმური მომსახურებით ვერ ისარგებლებთ. დედაქალაქში არაერთი დაწესებულებაა, სადაც გთავაზობენ ყველაფერს, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ და ეს იცის ყველამ, განსაკუთრებით კი ტაქსის მძღოლებმა. მომსახურება არსებობს, როგორც ადგილზე, ისე ბინაზე გამოძახებით, არის ინტერნეტ-საიტები, სადაც შეგიძლიათ, სასურველი ქალი თუ კაცი შეუკვეთოთ. მოკლედ, იატაკქვეშეთში ეს ინდუსტრია ყვავის და დაახლოებით, ისეა, კლუბური ნარკოტიკი ლეგალიზებული რომ არ არის, მაგრამ ყველა კლუბში შესაძლებელია მისი შეძენა.

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, ერთ-ერთი ასეთი დაწესებულების მფლობელს თბილისში თავი გაუტეხეს. პრინციპში, რაღა გაუტეხეს, სავარაუდოდ, ნაჯახის ფორმის ცივი იარაღი ისე ჩასცხეს თავში, ადგილზე მისული ექსპერტები ტვინის გროვებს უღებდნენ სურათებს. რა თქმა უნდა, დაიწყო ძიება, მაგრამ როგორც ხშირად ხდებოდა, გარდაცვლილის რეალური ბიზნესი და მკვლელობის სავარაუდო მოტივი არ დაასახელეს. როგორც მაშინ ამბობდნენ, ეს იმიტომ, რომ გარდაცვლილის საქმიანობას მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნები ლოიალურად იყენებდნენ და მისი სერვისით უფასოდ ხშირად სარგებლობდნენ. სერვისში კი, ადგილობრივების გარდა, უკრაინიდან ჩამოყვანილი გოგონების მომსახურებაც შედიოდა.

დაიწყო ძიება, რომელსაც უმკაცრესად, სწორედ მაღალჩინოსნები აკონტროლებდნენ და აინტერესებდათ, ვინ გაბედა და ვინ შეეხო ადამიანს, რომელიც მათ ხორციელ ვნებებს აკმაყოფილებდა. პირველ რიგში, მისი კონკურენტების შესწავლა-გაპრესვა გადაწყდა, თუმცა სამართალდამცავებმა ხელჩასაჭიდი ვერაფერი იპოვეს. კონკურენტების ინტერესში მისი მკვლელობა არ შედიოდა, რადგან გარდაცვლილი, ძირითადად, ელიტასა და შეძლებულ ადამიანებზე მუშაობდა, მისი კონკურენტები კი შედარებით დაბალ ფენაზე ანუ მათ ჰყავდათ ქალები, რომელთა ფასი 20 ლარიდან იწყებოდა, მოკლულის „ჰარამხანაში“ კი მინიმალური ფასი 100 დოლარი იყო.

გამოძიებისას გამოიკვეთა ერთი გოგონა, რომელზეც თქვეს, გარდაცვლილისგან 2 ათასი დოლარი ისესხა და შესაძლოა, დაბრუნება არ სურდაო. სამართალდამცავებმა გოგონა დაკითხეს, მაგრამ მიხვდნენ, რომ მას მკვლელობასთან შეხება არ ჰქონდა. გოგომ აღიარა, ვალი კი მქონდა, მაგრამ ვმუშაობდი და ნამუშევრიდან მიქვითავდა, ძალიან კომფორტული იყო ეს ყველაფერი და რატომ უნდა მომეკლაო. საბოლოო ჯამში, ვერაფერი რომ ვერ გაარკვიეს, მთელი პერსონალი შეყარეს და მოსთხოვეს, ბოლო 3-4 თვის განმავლობაში მომხდარი ისეთი რამ გაეხსენებინათ, რაც მათ უცნაურად ეჩვენათ. ძირითადად, უმნიშვნელო და არაფრისმომცემი ფაქტები გაიხსენეს, გარდა ერთისა – დაახლოებით, ორი თვის წინ, მათთან ასაკოვანი კაცი მივიდა, ქალი მინდა, ოღონდ მრცხვენია, ასეთ ასაკში რომ ვარ და ეგებ, ნიღაბი გამიკეთოთ, არ მინდა, ჩემმა სახემ გოგონები დააფრთხოსო. გაუკეთეს რაღაც სათამაშო ნიღაბი ბაბუს და მანაც გოგონების შერჩევა დაიწყო. აარჩია კიდეც ერთი გოგო, მაგრამ მოულოდნელად, არაადამიანური ხმით იღრიალა და იქაურობა ისე დატოვა, ნიღაბი არ მოუხსნია. ჰოდა, ღრიალის მიზეზი ერთ-ერთი ოთახიდან იქ მომუშავე გოგონასა და კლიენტის გამოსვლა გახდა. ვერავინ მიხვდა, ბაბუ გოგოს დანახვამ გააცოფა თუ მისი კლიენტის, მაგრამ ფაქტია, ის იქ აღარავის უნახავს. დაკითხეს გოგო – თბილისში, მშობლებთან ერთად მცხოვრები სტუდენტი, რომელმაც თქვა, არანაირი პრობლემა არ მაქვს აქ მუშაობის, სილამაზის სალონის გახსნა მინდა, ჩემით ვაგროვებ ფულს და მართალია, სახლში არ ვყვირი, სად ვმუშაობ, თუმცა იციან, რომ ჩემი შემოსავალი მაქვს და დეტალებს არ მეკითხებიანო. მისი კლიენტი კი ერთ-ერთი ბიზნესმენის შვილი აღმოჩნდა და მას მკვლელობასთან შეხება, წესით, არ უნდა ჰქონოდა, რადგან მამამისს არც ფული აკლდა, არც გავლენა და შვილიც არაფერს იკლებდა. ვინ იყო კაცი, რომელიც ბორდელში მორიდებით მივიდა და იქაურობა ღრიალით დატოვა? ეს უნდა გაერკვიათ სამართალდამცავებს და სავარაუდოდ, მკვლელობის გასაღებსაც იპოვიდნენ.

ბევრი მცდელობის მიუხედავად, გამოძიებას სიახლე არ ჰქონდა და ისინი კვლავ იმ გოგონას გარშემო დაბრუნდნენ, რომლის დანახვაზეც კლიენტი დაფრთხა. შეისწავლეს მისი ოჯახის წევრები, მამა, დედა, ძმა... არაფერი განსაკუთრებული, დედა – უმუშევარი, ძმა – სკოლის მოსწავლე, მამა – რომელიღაც საამქროს დარაჯი და თან ისეთ ასაკში, „ჰარამხანის“ ქალი კი არა, ჰოლივუდის ვარსკვლავები ვერ აგრძნობინებდნენ ვერაფერს. მამაკაცს ცოლი გვიან მოუყვანია და პატარა ბავშვებიც ამიტომ ჰყავდა. ერთადერთი, რისი იმედიც გამოძიებას ჰქონდა, გარდაცვლილზე შეხსნილი საათი იყო – დაახლოებით, 2 000-დოლარიანი, რომელიც მკვლელმა წაიღო და თუ მის გაყიდვას გადაწყვეტდა, აუცილებლად ჩაავლებდნენ. საათს ერთი დამახასიათებელი ნიშანი ჰქონდა, უკანა ფირფიტის შიგნითა მხარეს, მოკლულის ინიციალები იყო ამოტვიფრული და წესით, მკვლელი გაყიდვას თუ დააპირებდა, ვერ უნდა ენახა, რომ საათი, პრაქტიკულად, სამხილი იყო. ყველა ლომბარდი გაფრთხილებული გახლდათ, ანალოგიური საათი თუ გამოჩნდებოდა, აუცილებლად ფირფიტის შიდა მხარე ენახათ და ისე მიეღოთ.

მკვლელობიდან ორი კვირის თავზე, ერთ-ერთი ლომბარდიდან დარეკეს და თქვეს, რომ ვიღაც მოხუცმა კაცმა საათი დატოვა. მართალია, ის ადგილზე აღარ იყო, მაგრამ ნივთი პირადობის მოწმობით დატოვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი პოვნა რთული არ იქნებოდა. სამართალდამცავებმა საათის ჩამბარებელი ძალიან მალე იპოვეს. რაც ყველაზე საინტერესოა, მან საათი 200 ლარად დათმო ანუ ღირებულება არ იცოდა.

„ქუჩაში ვცხოვრობ, მათხოვარი ვარ, სახლი ბანკმა წამართვა. ორი კვირის წინ, მივდიოდი, დავინახე მკვდარი კაცი ეგდო და მაჯაზე საათი ეკეთა. მკვდარს დრო აღარ აინტერესებს, ჩემთვის კი შეღავათი იქნებოდა, თუ ამ ნივთს 20 ლარად მაინც გავყიდდი. ცოტა ვადროვე, ვიფიქრე, საათს ლომბარდებში დაუწყებდნენ ძებნას, ახლა კი ძალიან გამიჭირდა და როცა მითხრეს, 200 ლარს მოგცემთო, გამიხარდა, 20 ლარადაც კი დავთმობდი“, – თქვა დაკავებულმა და სამართალდამცავებიც მიხვდნენ, რომ ის მკვლელი არ იყო.

ეს ძაფიც ხელიდან გასხლტა და მოლოდინი იმისა, რომ მკვლელზე სწორედ საათით გავიდოდნენ, არ გამართლდა. ის იყო, გამოძიებას ხელი უნდა ჩაექნია, რომ ერთ-ერთ განყოფილებაში ოჯახურ კონფლიქტზე შეტყობინება შევიდა. იმ გოგოს ოჯახიდან რეკავდნენ, რომლის დანახვაზეც, თავის დროზე, ბორდელში ნიღბიანი კაცი აყვირდა. ადგილზე მისულ პატრულს განუმარტეს, რომ სკანდალი ცოლმა მოხუც ქმარს მოუწყო, აქაოდა, საყვარელი გყავსო. პოლიციის თანამშრომლები დაიბნენ, ღამის 80 წელს მიტანებულ კაცს რა საყვარელი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ მალე გაარკვიეს, რომ კვამლი უცეცხლოდ არ იყო, საყვარელსაც მიაგნეს და მან დაადასტურა, რომ მამაკაცთან ურთიერთობა რეგულარულად ჰქონდა. ძალოვნებმა მოხუცი დააკავეს.

„დიახ, ის გარეწარი მე მოვკალი. მეგობარი ტაქსისტისგან ვიცოდი, რომ იქ ელიტური ბორდელი იყო. ფული მოვაგროვე, წავედი, მაგრამ ასაკის მომერიდა და ამიტომ, ნიღაბი გავიკეთე. გოგონაც შევარჩიე, როცა სხვა ოთახიდან ჩემი შვილი, ჩემი გოგო გამოვიდა ანუ ის იქ მუშაობდა, ჩვეულებრივი მეძავი იყო. მაშინვე გავიფიქრე, რომ მეპატრონეს მოვკლავდი. ღამის ცვლაში ვმუშაობ და თვალთვალი დავიწყე, გავარკვიე, ვინ იყო უფროსი და ჩავუსაფრდი. როცა მივუახლოვდი, ყურადღება არც კი მოუქცევია, რადგან 80 წლის მოხუცს რა უნდა დაეშავებინა. ნაჯახი ორჯერ ისეთი სიძლიერით ჩავარტყი, მივხვდი, ვერ გადარჩებოდა. მან ჩემი შვილი გზას აიცდინა, დარწმუნებული ვარ, აიძულებდა ჩემს გოგოს იქ მუშაობას, სხვაგვარად არ წავიდოდა, არ გამიზრდია ასე“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლო პროცესის ჩატარება ვერ მოესწრო, მკვლელობაში ბრალდებულს სასამართლომდე, გლდანის ციხის კარანტინში გული გაუჩერდა. როგორც ამბობენ, ჰაერის უკმარისობით გარდაიცვალაო და ეს გასაკვირი არც არის. გლდანის ციხის ჯოჯოხეთში, რომელსაც ოფიციალურად კარანტინს ეძახდნენ, 12 კვადრატულ მეტრში, პაპანაქება სიცხეში, 30-40 პატიმარი ჰყავდათ კვირის განმავლობაში შეყრილი და ამ ასაკის კაცს გული მარტივად გაუჩერდებოდა.

პატიმარი №0578

როგორ მოვიპაროთ მილიონი ბანკიდან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

საქმე, რომელიც ბანკის დაკვირვებულმა თანამშრომელმა „გახსნა“

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, რამდენიმე თვის წინ მოხდა. მართალია, ძირითადი სცენარი ჩვენს მეზობელ ქვეყანაში განვითარდა, მაგრამ დამნაშავეების დაკავების ოპერაციაში ქართული მხარეც იყო ჩართული – უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე სწორედ საქართველოში დაიჭირეს და მეზობელ ქვეყანას გადასცეს. დანაშაული კი, თავის მხრივ, თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი საუცხოო ნიმუშია ანუ აქ კარგად ჩანს, როგორ შეიძლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ისე მოატყუოთ ნებისმიერი (ვიმეორებთ, ნებისმიერი) ადამიანი, რომ ამას კარგა ხანს, თავადაც ვერ მიხვდეს.

ერთი თვის მიყოლებით, ორასამდე ადამიანის საბანკო ანგარიშიდან თანხა დაიკარგა. ჰო, თანხა უბრალოდ გაქრა და მეპატრონეები ვერ ხსნიდნენ, როგორ ჰპარავდნენ მათ ფულს მაშინ, როცა თითქოს ყველაფერი დაცული ჰქონდათ და პირადი მონაცემები არავის გაანდეს. საქმე ერთ კონკრეტულ ბანკს ეხებოდა ანუ ყველა დაზარალებული იმ ბანკის კლიენტი იყო და რაც მთავარია, მათი თანხები ბანკომატებიდან საბანკო ბარათებით გაჰქონდათ. როგორ შეიძლება, რომ ბარათის მფლობელს საკუთარი ბარათი საფულეში ჰქონდეს, შინ მშვიდად ეძინოს, ამ დროს კი ვიღაც, სხვა ბარათით, ბანკომატიდან მის თანხას ხსნიდეს და თან... სწორ პინ-კოდს უთითებდეს. ყველა შემთხვევაში, პინ-კოდი შეუცდომლად იქნა აკრეფილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ დამნაშავეებმა ზუსტად იცოდნენ ბარათის მფლობელის ვინაობა და პინი. მოგეხსენებათ, ყველა ბანკომატი აღჭურვილია ვიდეოთვალით, მაგრამ დღევანდელ რეალობაში, ეს ბევრს არაფერს გვაძლევს – ნიღაბი, თავზე ქუდი და დამთავრდა.

რეალურად, ერთადერთი გზა, რომ დამნაშავეებს შეუცდომლად სცოდნოდათ პინ-კოდები, ბანკიდან გამოტანილი ინფორმაცია უნდა ყოფილიყო. არადა, ბანკშიც ამ ინფორმაციაზე წვდომა ერთეულებს აქვთ და მათაც გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ ანუ კომპიუტერში უნდა გამოჩნდეს, რომ ვიღაც, ვიღაცის პინ-კოდს ეძებს. ასეთი კი ვერცერთ ფილიალში ვერ აღმოაჩინეს ანუ რომელიმე თანამშრომელზე ეჭვის მიტანა ვერ მოხერხდა. რა გამოდიოდა? ადამიანები თავად გასცემდნენ პინ-კოდებს? ეს გამორიცხული იყო. ერთი პერიოდი ისიც კი გადაწყვიტეს, აღნიშნული ბანკის ბანკომატებს ერთი დღის განმავლობაში, დაახლოებით, 1000 დოლარის ექვივალენტის ვალუტა გაეცა და მეტი არა, რათა გამტანები ეკონტროლებინათ, თუმცა ბანკმა ამაზე საბოლოოდ უარი თქვა – კლიენტები გაგვიგიჟდებიანო. ვერავინ ხვდებოდა, როგორ შეიძლებოდა მოპარულიყო არა მხოლოდ ინფორმაცია საბანკო ბარათებზე, არამედ, პინ-კოდიც, რომელსაც ადამიანები თავად ცვლიან...

ერთ დღეს, აღნიშნული ბანკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა სამსახურში მისვლისთანავე, ბანკის გენერალურ დირექტორთან ითხოვა შესვლა და განაცხადა, რომ ნახა ისეთი რამ, რაც მისთვის უნდა მოეხსენებინა. საგულისხმოა, რომ ბანკის თანამშრომელთა ქვედა რგოლმა აღნიშნული გამოძიების შესახებ, პრაქტიკულად, არაფერი იცოდა. კი, მათ იცოდნენ, რომ არსებობდა გაძარცვულ კლიენტთა არმია, მაგრამ თუ ამით სახელმწიფოს უშიშროების სამსახურიც იყო დაინტერესებული, ნამდვილად არ იცოდნენ. ამიტომ, ერთი შეხედვით, რიგითი თანამშრომლის თხოვნამ მაშინვე მმართველი მენეჯმენტის ყურადღება მიიპყრო და დირექტორმაც კაბინეტში მიიწვია.

„ასე არ შეიძლება. ჩემს სახლთან იდგა ჩვენი ბანკის ბანკომატი, დღეს კი მოვიდნენ, ჩვეულებრივ „მარშუტკაში“ შეაგდეს და წაიღეს. ბანკომატი ასე დაზიანდება, მის დამონტაჟებას კი რამდენიმე თვე ითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობა და ახლო-მახლო, ახლა, სხვა ბანკომატი აღარ დგას“, – განაცხადა თანამშრომელმა.

ბანკის მმართველმა ყურადღებით მოუსმინა, შემდეგ მისამართი ჰკითხა, შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელს დაუძახა, ბანკომატები „მარშუტკებით“ რატომ გადაგაქვთ და საერთოდ, რას ნიშნავს, ბანკომატის აღება და წაღებაო. ცოტა ხანში კი გაირკვა, რომ იმ ადგილზე, ბანკს ბანკომატი ოფიციალურად არასდროს ჰქონია.

„რაა? იტყუებით. სამი დღის წინ დაამონტაჟეს, ჩვენი ბანკის ბანკომატებს ვცნობ, ლოგოც ჩვენი ჰქონდა, ორჯერ ფულიც გავანაღდე, ვის ატყუებთ?!“– გაცოფდა თანამშრომელი, მაგრამ ბანკში ზუსტად იცოდნენ, რომ იმ ტერიტორიაზე ბანკომატი არასდროს ჰქონიათ. რაც მთავარია, ბანკომატები დაცვის სპეციალურ მანქანებს მიჰქონდათ და დაზიანების შემთხვევაში, ადგილზე აბრუნებდნენ, არავითარ „მარშუტკებს“ ამისთვის არ იყენებდნენ. სწორედ მაშინ გაჩნდა ვერსია, რომ არსებობდა ჯგუფი, რომელიც აღნიშნული ბანკის ლოგოთი აღჭურვილ აპარატს იმ ადგილებში დგამდა, სადაც კამერები ვერ აფიქსირებდნენ. ბანკომატს ყურადღებას არავინ აქცევდა, როგორც გაირკვა, დაახლოებით, ას ლარამდე თანხასაც ანაღდებდა, უფრო დიდ თანხაზე კი წერდა, რომ ბანკომატში შესაბამისი თანხა არ იყო, რაც ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. სავარაუდოდ, ბანკომატში ბარათის შეცურების შემდეგ, ინახებოდა მონაცემები და აკრეფილი პინ-კოდიც დამახსოვრებული იყო. ახლა, მილიონიან ქალაქში, იმ ერთი ბანკომატის ძებნა უნდა დაწყებულიყო, რომელსაც არანაირი განმასხვავებელი ნიშანი არ ჰქონდა. რაც მთავარია, ბანკომატს უნდა ჰყოლოდა მეთვალყურე, ვინც ყურადღებას მიაქცევდა იმას, რომ აპარატს ინტერნეტთან წვდომა ჰქონოდა. უკვე გარკვეული იყო, რომ დენს მეზობელი ობიექტიდან იღებდნენ, ამბობდნენ, რომ ბანკომატს დგამდნენ და 2-3 დღეში, ობიექტს ხელშეკრულებასაც გაუფორმებდნენ, შემდეგ კი ქრებოდნენ. სხვა საქმე იყო ინტერნეტი. ვიღაც ახლოს უნდა მდგარიყო და ბანკომატისთვის ინტერნეტი მიეწოდებინა უწყვეტ რეჟიმში ანუ უნდა ჰქონოდა მობილური, ლეპტოპი, რათა ბანკომატისთვის ინტერნეტი გაეზიარებინა. რა თქმა უნდა, ბანკომატს შიგნით სპეციალურად დამონტაჟებული მოწყობილობა ექნებოდა, როგორც ინტერნეტის მისაღებად, ისე ბარათების დასამახსოვრებლად და პინ-კოდების დასაკოპირებლად. მოკლედ, სამუშაო ძალიან ბევრი იყო.

სამართალდამცავები მთელ ქალაქს მოედვნენ. მათ ჰქონდათ სია, სად იდგა რეალური ბანკომატები, მაგრამ საეჭვოს ვერსად გადაეყარნენ. ისინი ისეთ ადგილებში პატრულირებდნენ, სადაც სათვალთვალო კამერები ვერ აღწევდა და ლამის სამკვირიანი რეიდების შემდეგ, ერთ-ერთი თანამშრომელი შემთხვევით წააწყდა ბანკომატს, რომელიც რუკაზე არ იყო მონიშნული. ადგილზე რამდენიმე წუთში მივიდნენ ბანკის თანამშრომლები. სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი სამართალდამცავები შორი-ახლოს გაჩერდნენ, რათა დამნაშავეები არ დაეფრთხოთ.

ბანკის თანამშრომლებმა პირი დააღეს, რადგან ბანკომატთან ახლოს ვერც მანქანა და ვერც საეჭვო პირი ვერ შენიშნეს, ვინც ინტერნეტით ბანკომატს ამარაგებდა. თუმცა ძალოვნები მალე მიხვდნენ, ვინ იყო ინტერნეტის წყარო – ბანკომატის გვერდით, სამ მეტრში, ასე, 50 წლამდე კაცი მათხოვრობდა, წინ ქუდი ედო, თავად უდარდელად წამოწოლილიყო თბილ პლედზე და თვლემდა. ბანკის თანამშრომელი ბანკომატთან მივიდა, საკუთარი ბარათი შეაცურა და თანხა აკრიფა, თუმცა დიდი თანხა ბანკომატმა არ გასცა, ას დოლარამდე კუპიურები კი უპრობლემოდ გამოუყარა. ეს სწორედ ის იყო, რასაც სამართალდამცავები ეძებდნენ. დაიწყო თვალთვალი, ოღონდ ისე, რომ მათხოვარს პოლიციის თანამშრომლები არ უნდა შეენიშნა. ასე გაგრძელდა ორი დღე, მწოლიარე მათხოვარი საღამოს ახალგაზრდა გოგონამ ჩაანაცვლა და „მათხოვრობა“ გააგრძელა, თანაც მთელი ღამით, დილით ახალგაზრდა ბიჭმა გაშალა „დახლი“, საღამოს კვლავ ასაკოვანმა კაცმა და მეორე დღეს, ნაცნობი „მარშუტკაც“ გამოჩნდა, რათა ბანკომატი წაეღო. სამართალდამცავებმა „მათხოვრებიცა“ და მძღოლებიც დააკავეს.

მათი დაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ ისინი მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ და თითოეული დღის სანაცვლოდ, 300 დოლარს იღებდნენ. მათ ზუსტად არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ, არც ბევრ კითხვას სვამდნენ, ბანკომატი მიჰქონდათ, მოჰქონდათ და ყარაულობდნენ. რაც შეეხება ამ საქმის სულისჩამდგმელებს, ძალოვნებს ისინი ხელიდან გაუსხლტათ, რადგან იმ დროს... საქართველოში, ნათესავის ქორწილში იყვნენ. თავისი საქმის ჩავარდნის შესახებ მათ სწორედ ქართველი სამართალდამცავებისგან გაიგეს, რომლებმაც ისინი პირდაპირ ქორწილში აიყვანეს და სამ დღეში, მეზობელ სახელმწიფოს გადასცეს.

როგორც გაირკვა, ანალოგიური ძარცვის ხერხი მათ ამერიკაში ნახეს, უფრო ზუსტად, ნახეს სახლი, სადაც ადამიანს ბანკომატი სახლში ედგა და ფულს საკუთარი ბანკომატიდან ხსნიდა ანუ ერთობოდა, მერე ამ ფულს სახლშივე დამონტაჟებულ აპარატში ათავსებდა, იგებდა ან აგებდა, მერე ისევ ბანკომატში ატრიალებდა და ასე შემდეგ. სწორედ იქ მიხვდნენ, რომ ანალოგიური სქემის აწყობა მათ სამშობლოში შეეძლოთ და თანაც ისე, რომ ბარათის მონაცემები სრულად დაემახსოვრებინათ, შესაბამისი ბარათიც დაემზადებინათ და უკვე ნამდვილი ბანკომატები მოეტყუებინათ. მათ საერთო ჯამში, მილიონზე მეტი ჰქონდათ უკვე მითვისებული და რომ არა შემთხვევა, კარგა ხანს დაუსჯელები დარჩებოდნენ. უფრო მარტივად კი, მათ უბრალოდ მიღებული მილიონი რომ შეერგოთ, სამართალდამცავები ვერასოდეს იპოვიდნენ. რაც შეეხება ბანკომატს, მათ ის საკუთარი ხელით ააწყვეს, ნაწილები სხვადასხვა ქვეყნიდან გამოიწერეს და შექმნეს მანქანა, რომელიც მათ მუქთა ფულს უწერდა.

ბათო ჯაფარიძე

ხანდახან ისე ხდება, რომ გამომძიებლები უპატიებელ შეცდომას უშვებენ და გისოსებს მიღმა ადამიანს სხვისი დანაშაულის გამო კეტავენ. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც ამას შეგნებულად აკეთებენ, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც, გამომძიებელს შინაგანად სჯერა, რომ ნამდვილ დამნაშავეს მიაგნო, მტკიცებულებები უტყუარია და ყველაფერი კანონის ფარგლებშია. სინამდვილეში კი, რეალური დამნაშავე გარეთ რჩება და ბედნიერია იმით, რომ გამოძიება შეცდა. რა თქმა უნდა, გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ უმძიმეს დანაშაულებში ეჭვმიტანილი ადამიანი უწყებაში თავის ფეხით მივა და იტყვის, გამოძიება შეცდა, დამნაშავე მე ვარ და გისოსებს მიღმა ვიღაც უდანაშაულოდ მოხვდაო...

გმირად აღიარებული მამაკაცი მანიაკი აღმოჩნდა

გასული საუკუნეს 80-იან წლებში, რუსეთში, ერთი-მეორის მიყოლებით, რამდენიმე მძიმე დანაშაული მოხდა. კონკრეტულად, ყოფილ ლენინგრადში, 5-დან 7 წლამდე ბიჭებს, საკუთარ დაბადების დღეზე იტაცებდნენ და შემდეგ მათ გაგუდულებს ნახულობდნენ. ცხედრებს ძალადობის სხვა ნიშანი არ ეტყობოდათ, არ იყვნენ გაუპატიურებულები, ნაწამები, უბრალოდ, თოკით იყვნენ გაგუდულები და მორჩა ანუ ერთი შეხედვით, დამნაშავე მათ უმიზეზოდ ხოცავდა. ყველაფერი კი იმაზე მოულოდნელად დასრულდა, ვიდრე ვინმე ელოდა.

გოგონას დაბადების დღე იყო, ის 11 წლის ხდებოდა, მამამ გადაწყვიტა, შვილისთვის სიურპრიზი გაეკეთებინა, ბავშვი შინ მძინარე დატოვა, მაგრამ როცა დაბრუნდა, უცხო მამაკაცი დაინახა და ხელჩართული ჩხუბი დაიწყო. მომხვდურმა ოჯახის უფროსი იარაღიდან გასროლით ფეხში დაჭრა, მაგრამ ფიზიკურად ძლიერმა კაცმა მოახერხა და თავდამსხმელი გაგუდა. სამართალდამცავებმა ივარაუდეს, რომ ეს სწორედ ის მანიაკი იყო და მართლაც, მისი გარდაცვალების შემდეგ, ორი წელი გავიდა და ერთი ბავშვიც არ დაკარგულა. საზოგადოება დამშვიდდა, ბავშვებს შინ ისევ თამამად სტოვებდნენ მარტო. კაცს, რომელიც გოგონას მარტო ზრდიდა, რადგან მეუღლე გარდაცვლილი ჰყავდა, სპეციალური მედალიც კი მისცეს და რაც მთავარია, ოთხი ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს, რადგან ტყვია მუხლის სახსარში იყო გაჭედილი. საბოლოო ჯამში, სრულად გამოჯანმრთელება ვერ მოხერხდა, მას ჯოხის გარეშე გადაადგილება არ შეეძლო. ამის მიუხედავად, ის ნამდვილი გმირი გახლდათ, ორჯერ ტელევიზიაშიც კი მიიწვიეს და მეზობლები ხომ საერთოდ, პატივით ეპყრობოდნენ, სახელმწიფომ სპეციალური პენსიაც დაუნიშნა...

მანიაკის ერთ-ერთი ბოლო მსხვერპლი, მისივე მეგობარი ქალის შვილი იყო. ბიჭი საკუთარ დაბადების დღეზე გაუჩინარდა, შემდეგ გარდაცვლილი იპოვეს. ეს კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ მანიაკი მოკვდა, განადგურდა, საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. არადა, წყვილი თითქოს დაქორწინებას აპირებდა, თითქოს, მამინაცვალი გერს ძალიან კარგად ეპყრობოდა, მეზობლებიც აღნიშნავდნენ, საკუთარი შვილივით უვლიდა, დედაზე მეტად აქცევდა ყურადღებას, აბა, ვინ იფიქრებდა, თუ მოსაკლავად ამზადებდაო.

„ბედის ირონიით, მანიაკის საცოლეს სასწავლებელი თბილისში ჰქონდა დამთავრებული და ჩემს მეუღლესთან მეგობრობდა. მომხდარიდან სამი წელი იყო გასული, ჩემს ცოლს რომ დაურეკა – თუ შეიძლება, საქართველოში ჩამოვალ, ეგებ, გული გადავაყოლო, მდგომარეობიდან დღემდე ვერ გამოვედიო. ჩემი მეუღლე, რა თქმა უნდა, დათანხმდა, თუმცა იქვე ჩემი თხოვნაც დააყოლა, ეგებ, საქმის მასალები წამოიღო სრულად, ჩემს ქმარს პროფესიულ საქმიანობაში გამოადგებაო. ეს ჩემი ინიციატივა იყო, მაინტერესებდა, როგორ მოქმედებდა მანიაკი, საქმე ძალიან რეზონანსული გახლდათ და მიუხედავად ბავშვების მკვლელობისა, საიდუმლო გრიფი არ ედო. მაშინ საბჭოთა კავშირი რკინის ფარდის ჩამოშორებას ცდილობდა და წარმატებულ საქმეებს ანსაჯაროვებდა. ჩემთვის ამ საქმის გაცნობა დამატებითი, მნიშვნელოვანი გამოცდილება იქნებოდა, ხოლო საქმის მასალები ქალს აუცილებლად ექნებოდა, როგორც ერთ-ერთ დაზარალებულს. მოკლედ, ათ დღეში, ჩემს მეუღლეს მეგობარი ესტუმრა, მე კი მაგიდაზე 18-ტომიანი საქმე მედო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ქართველ მაძებარს საქმის შესავალი ძალიან მოეწონა, რადგან მისი ლენინგრადელი კოლეგები, როგორც ჩანს, ნამუსიანად მუშაობდნენ და ყველა დეტალი სიღრმისეულად ჰქონდათ შესწავლილი. უფრო მეტიც, ფსიქოლოგებსა და ფსიქიატრებს მანიაკის მიახლოებითი ასაკიც ჰქონდათ გამოთვლილი, რომელიც მოკლულისას ემთხვეოდა და კიდევ არაერთ ისეთ დეტალსა და ნიუანსზე იყო გამახვილებული ყურადღება, გამოცდილი მაძებრებიც კი ბევრს ისწავლიდნენ. აი, მისი მკვლელობიდან სასამართლომდე კი ყველაფერი ხელის ერთი მოსმით გახლდათ დასრულებული. თითქოს, გამომძიებლებს ერთი სული ჰქონდათ, საქმე ბოლოში გასულიყო და კოშმარი დასრულებულიყო. ხუმრობა ხომ არ არის, საერთო ჯამში, მანიაკმა შვიდი ბიჭი იმსხვერპლა და მერვეზე ჩაავლეს. ჰო, საქმეში ახსნილი იყო ის ტრანსფორმაციაც, რომელიც მანიაკმა განიცადა. თუ მანამდე, ის მხოლოდ ბიჭებს ხოცავდა, ბოლო შემთხვევაში, გოგოზე იმიტომ გაილაშქრა, რომ საქმიანობაში რამე სიახლის შეტანა სურდა, საკუთარი თავის გასახალისებლად. მანიაკები ასე ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც იქცევიან და ეს ფსიქოლოგებისა თუ ფსიქიატრების მხრიდან იშვიათ შემთხვევას მიეწერა.

„საქმის შესწავლას თითქმის ერთი კვირა მოვანდომე, ღამეები არ მეძინა და ძალიან, ძალიან კმაყოფილი ვიყავი. კმაყოფილი იმით, რომ ბევრი ახალი გავიგე და თანაც, ამ საქმის გამოძიების დროს, ჩემი ერთ-ერთი მეგობრის გვარიც ამოვიკითხე, რომელიც ბოლო პოზიციებზე ნამდვილად არ გახლდათ და გამიხარდა, რომ საქმის გახსნაში ისიც მონაწილეობდა. მართალია, ყველაფერი გამოძიებისთვის იღბლიანმა შემთხვევამ დაასრულა, მაგრამ მაინც. ამ უზარმაზარი ტომების შექმნასა და ზღვა მასალის მოძიებას მრავალი უძილო ღამე სჭირდებოდა. რაც შეეხება ჩემს სტუმარს, მეუღლე მაქსიმალურად ცდილობდა მის გახალისებას, ხან სად დაჰყავდა, ხან – სად და ცოტა თვალშიც გამოახედა. ერთ დღეს კი მეც დამითანხმეს, ოპერაში წავსულიყავით. ხათრი ვერ გავუტეხე, თორემ ნამდვილად არ მქონდა სურვილი, ორი საათის განმავლობაში, არიები მესმინა. ოპერიდან რომ ვბრუნდებოდით, გზაზე, მოკლული ბავშვის დედა და მანიაკის საყვარელი ქალი მოულოდნელად მომიბრუნდა და მეკითხება – ასე შეიძლება ადამიანის გარდასახვა? ის ხომ ჩემს შვილს საკუთარივით უვლიდა? სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, სექტემბერში, ზღვაზე წაგვიყვანა და ორი კვირის განმავლობაში, სანამ იქ ვიყავით, ბავშვს სასკოლო მასალას უკითხავდა, სკოლას აცდენ და რომ არ ჩამორჩე, შენ დიდი კაცი უნდა გაიზარდოო. თუ მოკვლას უპირებდა, ამას რატომ აკეთებდა, რატომ?! მითხრა ქალმა და ატირდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

შინ დაბრუნებულ სტუმარს ბატონმა თენგიზმა ქართული კონიაკი დაალევინა, დაამშვიდა და მაშინვე საქმეს ეცა. თუ ქალს დაეჯერებოდა, სწორედ იმ დროს, როცა ლენინგრადში, მორიგი ბავშვის მკვლელობა მოხდა, მანიაკად მიჩნეული კაცი მომავალ ცოლთან და გერთან ერთად, შავის ზღვის სანაპიროზე ისვენებდა. მეორე დღეს ქართველმა გამომძიებელმა ფრთხილად, მაგრამ კატეგორიულად მოსთხოვა ზუსტად გაეხსენებინა ის დღეები, როცა სანაპიროზე ისვენებდნენ და როცა ქალმა იგივე გაიმეორა, საქმე თავდაყირა დადგა. სწორედ იმ დროს, ლენინგრადში ბიჭი გაუჩინარდა ანუ ის მანიაკმა მოკლა და მანიაკად მიჩნეული პირი ამ დროს, რამდენიმე ასეული კილომეტრის იქეთ, ზღვაზე ისვენებდა.

„ჩემს მეგობარს დავურეკე და საქმის ვითარება გავაცანი. თავიდან არ დაიჯერა, მერე კი საქმეებს ჩახედა და არაოფიციალურად თბილისში ჩამოფრინდა, ჩემს სახლში გამოჰკითხა ქალი და როცა დარწმუნდა, არ ვტყუოდით, ქალს კიდევ ერთი რამ ჰკითხა – როცა თქვენი შვილი დაიკარგა, საქმრო რას აკეთებდაო? ქალმა ტირილი დაიწყო, ჩემზე მეტად ნერვიულობდა, მერე კი, როცა გარდაცვლილი ვიპოვეთ, თქვა, მკვლელს აუცილებლად მოვნახავ და ჩემი ხელით მოვკლავო. მან იარაღიც ამის შემდეგ იყიდა, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მანიაკი სწორედ თავად იყო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ორმა გამომძიებელმა ორი ღამე გაათენა და დაასკვნა – მანიაკი არა მოკლული, არამედ, მისი მკვლელი, იმ გოგონას მამა იყო, რომელმაც ვითომ მანიაკი მოკლა. ეს ხსნიდა ყველაფერს – იმას, თუ რატომ მიაკითხა ვითომ მანიაკმა გოგონას და არა ბიჭს, იმას, რომ თურმე, გოგონას დაბადების დღე ინციდენტის დღეს კი არა, მეორე დღეს იყო. მოკლული როგორღაც გავიდა მანიაკის კვალზე და სწორედ მის მოსაკლავად მივიდა, თუმცა თავიდან სურდა დარწმუნებულიყო, ხოლო როცა დარწმუნდა, მანიაკმა დაასწრო. ლენინგრადელი გამომძიებელი პეტრეს ქალაქში გაფრინდა და მეორე დღეს, გმირად შერაცხული მამაკაცი ჩვენებას აძლევდა.

„მეუღლე მშობიარობას გადაჰყვა. ბიჭი იბადებოდა და სწორედ მან მომიკლა უსაყვარლესი ქალი. ამის მერე, პატარა ბიჭები შემძულდა და გადავწყვიტე, ისინი სწორედ მათ დაბადების დღეზე დამეხოცა. ეს სურვილი არც ახლა გამნელებია, მაგრამ როცა იმ კაცმა გამშიფრა და დამჭრა, დავკოჭლდი, სირბილი აღარ შემიძლია, არც ბავშვის ტარება შემიძლია, რადგან ჯოხს უნდა დავეყრდნო. ეს არის მიზეზი, რის გამოც მკვლელობები შეწყდა“, – განაცხადა დაკავებულმა.

ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაკავებული შერაცხადად აღიარა, რამაც სასამართლოს მისი კანონის მთელი სიმკაცრით გასამართლების შესაძლებლობა მისცა. რა თქმა უნდა, დახვრეტა მიუსაჯეს, კაცს კი, რომელიც მანამდე მანიაკად იყო გამოცხადებული, ეს ლაქა ჩამოაშორეს.

სამეგრელოს პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის სამი პირი, მათ შორის, ორი ნარკორეალიზატორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებისა და უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის სამი პირი დააკავეს.

1978 წელს დაბადებულ გ.ჭ.-ს ბრალი ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, ხოლო 1973 წელს დაბადებული ა.ყ. და 1986 წელს დაბადებული ა.გ. ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღებისთვის არიან დაკავებულნი.

ნარკორეალიზატორთა გამოსავლენად, პოლიციამ რამდენიმე ეტაპად განახორციელა კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე.

სამართალდამცველებმა, სამივე ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობის სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები.

დანაშაულები 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების არაერთგზის უკანონო შეძენა-შენახვასა და გასაღებას გულისხმობს.

ალექსანდრე დარახველიძე UNDP-ის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილეს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ შეხვედრა გამართა გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილესთან, ანნა ჩერნიშოვასთან.

შეხვედრაზე მხარეებმა მიმოიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის საკითხს, რომლის განხორციელებაშიც გაეროს განვითარების პროგრამამ სამინისტროს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინა.

მინისტრის მოადგილემ ანა ჩერნიშოვას გააცნო სამინისტროს სამომავლო გეგმები, რაც მიზნად ისახავს უწყების საქმიანობის სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შეხვედრის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ ანა ჩერნიშოვასა და გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის ოთხი პირი დააკავა – ამოღებულია 1 კგ-მდე „კოკაინი“ და სხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში ნარკოდანაშაულისთვის ოთხი პირი დააკავეს. დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ბრაზილიის მოქალაქე – 1993 წელს დაბადებული ფ.ს. თბილისში დააკავეს. აღნიშნული პირის დაკავება განხორციელდა გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისისა (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) კონტეინერების კონტროლის პროგრამის წევრების თანამშრომლობით. გამოძიებით დადგინდა, რომ ფ.ს.-ს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გავლით, საქართველოში 1 კგ.-მდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ სხეულით შემოჰქონდა. ნივთმტკიცებად ამოღებულია 80 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“.

სამართალდამცველებმა თბილისში, ნარკოტიკების ინტერნეტით უკანონო გასაღების ფაქტი აღკვეთეს და დედაქალაქში სხვადასხვა ადგილზე შემდგომი რეალიზაციის მიზნით განთავსებული ნარკოტიკები ამოიღეს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულისთვის, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, უცხო ქვეყნის სამი მოქალაქე: 1995 წელს დაბადებული ვ.ტ.,1988 წელს დაბადებული ა.ნ. და 1996 წელს დაბადებული ე.დ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს მცირე შეკვრებად აფასოებდნენ, თბილისში, სხვადასხვა მისამართებზე, სამალავებში ათავსებდნენ, შემდეგ კი ერთ-ერთი ინტერნეტ-პლატფორმის საშუალებით ასაღებდნენ. პოლიციამ დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 250 გრამამდე „მეტადონის“ შემცველი ნარკოტიკული ნივთიერება და ფული ამოიღო. ასევე, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ბრალდებულების მიერ სხვადასხვა ლოკაციაზე, შემდგომი გასაღების მიზნით, განთავსებული „მეტადონის“ შემცველი ნარკოტიკი.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა– შენახვისა და გასაღების მცდელობის, ასევე, საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შემოტანის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 19-260-ე და 262-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ქვემო ქართლის პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან გაქცეული მკვლელი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2005 წელს დაბადებული ა.მ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ მარნეულში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1992 დაბადებული ა.ი., ცივი იარაღის გამოყენებით სასიკვდილოდ დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ ა.მ. ცხელ კვალზე დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

გურიის პოლიციამ დააკავა ისრაელის მოქალაქე, რომელმაც სოფელ დვაბზუში, სახლის მეპატრონე ცივი იარაღით დაჭრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოში დროებითი ბინადრობის სტატუსის მქონე ისრაელის მოქალაქე – 1954 წელს დაბადებული ი.ა., ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხემლისხიდში დააკავეს. მას ბრალად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ედება. დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 12 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში, ახლად შეძენილი საცხოვრებელი სახლის ყოფილ მეპატრონეს – 1958 წელს დაბადებულ ბ.ს.-ს, ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ ცივი იარაღით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ი.ა. ბრალდებულის სახით მომხდარიდან მალევე დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

თეთნულდზე ტურნირი ზვავსაშიშროების გამო ჩაიშალა

12 თებერვალს, თეთნულდზე, მსოფლიო ჩემპიონატის ოთხვარსკვლავიანი ტურნირის ძირითადი ტური უნდა გამართულიყო. რამდენიმე უცხოურ ტელევიზიასთან ერთად, სვანეთში არაერთი უცხოელი სპორტსმენი ჩავიდა, მაგრამ ტურნირი ჩაიშალა. უცხოელმა დამკვირვებლებმა მის ჩატარებაზე ნებართვა ზვავსაშიშროების გამო არ გასცეს და ბევრი მცდელობის მიუხედავად, პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდა. არადა, ქართული მხარე აცხადებდა, რომ რეალურად ყველაფერი რიგზე იყო, თუმცა... ჩვენ ერთ-ერთ ადგილობრივს დავუკავშირდით და მომხდარის დეტალები ვკითხეთ.

„ტურნირი მთიდან დაშვებასთან ერთად, გაუკვალავ თოვლში სრიალსაც მოიცავდა, ამიტომ უცხოელმა ორგანიზატორებმა მოითხოვეს, რომ ზედმეტი თოვლი არ ყოფილიყო მთებზე, რადგან ზვავი არ მოწყვეტილიყო. ქართული მხარე ჯერ ვერტმფრენით შეეცადა თოვლის ჩამოშვებას, შემდეგ ააფეთქეს კიდეც, მაგრამ სავარაუდოდ, თოვლი გაყინულია და ძვრა ვერ უყვეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ზვავის წამოსვლის შესაძლებლობა, პრაქტიკულად, არ არის, მაგრამ რეალურად, მაინც საშიშია. აქედან გამომდინარე, უცხოელებმა არ გარისკეს და ტურნირის გამართვაზე უარი თქვეს, რაც საქართველოსთვის ძალიან დიდი დარტყმაა. ისე გამოვიდა, რომ ამდენი ხალხი მესტიაში ტყუილად ჩამოფრინდა. მართალია, უცხოელებმა მაინც ისრიალეს და დადებითი ემოციები არ დაუმალავთ, მაგრამ მთავარი, რის გამოც ჩამოვიდნენ, არ შედგა“, – გვითხრა ადგილობრივმა.

ბასილაშვილი დოჰაში დაბრუნდა

მიმდინარე კვირაში, ყატარის დედაქალაქში, მორიგი საჩოგბურთო ტურნირი დაიწყება, რომლის საპრიზო ფონდი 1 176 595 დოლარია. დოჰას ტურნირის მოქმედი გამარჯვებული, ჩვენი ნიკოლოზ ბასილაშვილი გახლავთ და ქართველი ჩოგბურთელი უკვე დოჰაშია. მართალია, ის მესამე ნომრადაა განთესილი, თუმცა ფავორიტთა შორის რომ მოიაზრება, ადვილი მისახვედრია. პირველ ნომრად კანადელი დენის შაპოვალოვია განთესილი, მეორე ნომრად – რობერტო ბაუტისტა აგუტი. არადა, შარშანდელ ფინალში, ნიკამ სწორედ აგუტს სძლია.

პირველ წრეში ჩვენებური ისვენებს და ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთვება. გულახდილად რომ ვთქვათ, ნიკო ფავორიტად კი მოიაზრება, მაგრამ ფორმაში აშკარად ვერაა. მას ოქტომბრის შემდეგ, თამაში არ მოუგია, ზედიზედ რვამატჩიანი წაგებათა სერია აქვს (წყვილების ჩათვლით – 10) და ნავსი აუცილებლად უნდა გატეხოს. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ რუსულ მედიაში, ბოლო დღეებია, აქტიურად წერენ ჩოგბურთის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ დაწყებული გამოძიების შესახებ, რომელიც 2017 წელს გამართულ რამდენიმე მატჩს ეხება და ვარაუდობენ, რომ ეს შეხვედრები გარიგებული იყო. ჰოდა, რუსები ამტკიცებენ, ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, სწორედ ბასილაშვილია და თუ ქართველს ფაქტს დაუმტკიცებენ, მას სამუდამო დისკვალიფიკაცია არ ასცდებაო. ჩვენ კი იმის იმედად ვართ, რომ ანალოგიური რამ ადრეც არაერთხელ და არაერთ ჩოგბურთელზე დაწერილა (მათ შორის, იმავე ნიკაზე), მაგრამ არ გამართლებულა.

მამარდაშვილი საიმედოდ დაბრუნდა, შოთას მესამე მარცხი

ესპანური „ვალენსიას“ ძირითადი კიპერის, იასპერ სილესენის ტრავმის გამო, გუნდის თავკაცმა კარი კვლავ გიორგი მამარდაშვილს ანდო და ჩვენებური შანსს საუცხოოდ იყენებს. ქართველმა კიპერმა ზედიზედ სამ შეხვედრაში დაიცვა „ღამურების“ ღირსება და თავი არცერთში არ შეურცხვენია. რაც მთავარია, მას არ მოსვლია ისეთი უხეში შეცდომა, რომელზეც შემდეგ მწვრთნელი იტყოდა, ჯერ ადრეა ამ ბიჭის უმაღლეს დონეზე თამაშიო. ბოლო შეხვედრა ვალენსიელებმა აუტსაიდერ „ალავესთან“ 2:1 წააგეს, თუმცა აი, როგორ გამოუხმაურა ესპანური მედია მამარდაშვილის თამაშს:

„ქართველმა გამორჩეული მატჩი ჩაატარა. დასაწყისში ლუმის წინააღმდეგ კარგი სეივი ჰქონდა. გუნდი ესკალანტეს დარტყმის შემდეგაც იხსნა... შემდეგ მან დუარტეს დარტყმაც მოიგერია“...

გვერწმუნეთ, ამ ასაკში, ასეთ დონეზე ასპარეზობა, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ძალიან ძნელია. 20 თებერვალს, ესპანეთის პრიმერა-დივიზიონის მორიგი ტურის ცენტრალური შეხვედრა „მესტალიაზე“ შედგება – „ვალენსია“ „ბარსელონას“ მასპინძლობს და ყველა ლოგიკით, კარი მამარდაშვილმა უნდა დაიცვას, თუ ექიმებმა სასწაული არ ჩაიდინეს და სილესენი ფეხზე არ დააყენეს. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, მწვრთნელი ბევრად გამოცდილ ჰოლანდიელს ენდოს.

სამწუხაროდ, სადებიუტო შეხვედრის შემდეგ, ზედიზედ მესამე შეხვედრაში დამარცხდა შოთა არველაძის „ჰალი“. ქართველი მწვრთნელის გუნდი თამაშს კი აუმჯობესებს და შემტევ ფეხბურთს აჩვენებს, თუმცა დაცვის ხაზი კარგად ნამდვილად არ გამოიყურება და ამ მხრივ, შოთის ბევრი სამუშაო აქვს. მისი მთავარი მიზანი მიმდინარე სეზონში – ჩემპიონშიპში ადგილის შენარჩუნებაა, რაც წესით, რთული არ უნდა იყოს. დღევანდელი მდგომარეობით, „ჰალს“ გასავარდნ ზონას 12 ქულა აშორებს და ამ ჰანდიკაპის განიავება გუნდმა არ უნდა დაუშვას.

ელიტრაუნდისთვის მზადება უარყოფითი ემოციებით

საქართველოს 17-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრებს მარტში, თანატოლთა შორის, ევროპის შესარჩევის ელიტრაუნდი ელის და რა თქმა უნდა, ძალიან გაგვიხარდა, როცა გიორგი ჩიტაურის გუნდი მინსკის „განვითარების თასზე“ საასპარეზოდ გაემგზავრა. აქ ასაკობრივი ნაკრებები კვალიფიკაციას იმაღლებენ, გამოცდილებას იღებენ და მომავალი ტურნირებისთვის მზადებას გადიან. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ბელორუსული ვოიაჟი კატასტროფული გამოდგა.

ჩვენმა ნაკრებმა, მთლიანობაში, ხუთი მატჩი გამართა. საფეხბურთო კლუბ „მინსკის“ 17-წლამდელ ფეხბურთელებს 1:0 მოვუგეთ, ხოლო უზბეკეთის, ბელორისისა და ისრაელის 17-წლამდელებთან ერთნაირი ანგარიშით – 3:0 დავმარცხდით ანუ სამ შეხვედრაში, 9 უპასუხო გოლი გავუშვით და რაც მთავარია, თამაშის ხარისხი, რბილად რომ ვთქვათ, უკეთესის სურვილს ტოვებდა. მართალია, ბოლო ტურში ჩვენმა გუნდმა მოლდოვას 7:0 მოუგო, მაგრამ არავინ მალავს, რომ მოლდოვა უსუსტესი გუნდია და მათთან გამარჯვება დიდი ვერაფერი ბედენაა. მინსკიდან ჩვენი ნაკრები მონტენეგროში გაფრინდება, სადაც ადგილობრივ თანატოლებთან ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

რატომღაც გვგგონია, რომ ბიჭებს ჯერ ის უნდა გააგებინონ, რას ნიშნავს ნაკრები და მერე ის, რატომ არის დატანილი ქვეყნის ეროვნული დროშა მაისურის მარცხენა მხარეს, გულთან ახლოს, მერე კი მოედანზე შეუშვან. ელიტრაუნდში ასეთი თამაშით არაფრის შანსი არ გვექნება, თუნდაც იმ ბურთაობით, რომელიც მოლდოვასთან ვაჩვენეთ.

ის, რაც საქართველოში არ ფასობს, ამერიკაში მილიონი ღირს

სპორტსმენთა ე.წ. ბარათები, როლმებზეც ისინი არიან გამოსახულნი, ძვირად ფასობს. ძვირად კი არა, ძველ ბარათებზე, ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ცხადდება და სერიოზული კოლექციები მხოლოდ შეძლებულ ადამიანებს აქვთ. ბარათი, რომელზეც სპორტსმენია გამოსახული, ხელისგულზე ეტევა და ისინი თავის დროზე თავისუფალ გაყიდვაშიც იყო, მაგრამ ქაღალდის ნაგლეჯს ბევრი არ ინახავდა, შედეგად კი მათი იშვიათობის გამო, ფასი წლიდან წლამდე იზრდება. აგერ, გასულ კვირას, ლეგენდარული პელეს ბარათი გაიყიდა, რომელიც 1958 წელს, მისი სადებიუტო სეზონის დროს დამზადდა. ერთი შეხედვით, გაუფერულებული ფოტოს ნაგლეჯი აუქციონზე 1.3 მილიონ დოლარად გაიყიდა.

გაგიკვირდებათ და, ეს არ არის ბარათში გადახდილი ყველაზე დიდი თანხა, ლებრონ ჯეიმსის ბარათი, ცოტა ხნის წინ, 1.8 მილიონ დოლარად გაიყიდა. დაახლოებით, ამდაგვარი ბარათები საბჭოთა კავშირშიც იბეჭდებოდა, თუმცა... თუ ვინმეს შენახული აქვს, მილიონები ნამდვილად არ ეღირება.

დიდი მატჩის მოლოდინში

15 თებერვალს, ღამით, პარიზში დიდი მატჩია. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ შეხვედრაში, „პარი სენ ჟერმენი“ მადრიდის „რეალს“ დაუხვდება. შეხვედრას ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა დააკლდება – ტრავმის გამო, სამეფო გუნდის წინააღმდეგ ყოფილი კაპიტანი, სერხიო რამოსი ვერ ითამაშებს. ამის მიუხედავად, მატჩს უდიდესი ინტერესი ახლავს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „რეალის“ კარს ლიონელ მესი შეუტევს და უდიდესი ალბათობით, განაცხადში იქნება ტრავმამოშუშებული ნეიმარიც.

ეს არის ის შეხვედრა, რის გამოც ფეხბურთი, დღემდე, სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა. ამ მატჩს ტელევიზიის საშუალებით, დაახლოებით, 250 მილიონი ადამიანი მიადევნებს თვალს. საკუთარ ჩემპიონატებში, ორივე გუნდმა ბოლო ტურებში თავი დაზოგა და რაღა თქმა უნდა, მათ თავში ახლა მხოლოდ 15 თებერვლის შეხვედრა უტრიალებთ. საპასუხო მატჩი 10 მარტს, მადრიდში გაიმართება და ორივე შეხვედრიდან შემოსავალი ნახევარ მილიარდს გასცდება, თუმცა თანხის უდიდეს ნაწილს უეფა და ტელევიზიები წაიღებენ.

ქეთი მელქაძის რკინის ბადეების უნიკალური ხელოვნება

„მინდა, საქველმოქმედო გალერეა გავხსნა!“

ია გრიგალაშვილი

უმაღლესი თუ პროფესიული განათლების მიღება ნებისმიერი დარგის სპეციალისტისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია, თუმცა ამას ვერ ვიტყვით ხელოვანზე. როგორი უცნაურიც უნდა იყოს, ყველაზე განსხვავებული, გამორჩეული და ახალი აღმოჩენების ავტორები, სწორედ ხელოვანები არიან, რომლებსაც ამ მიმართულებით სპეციალური განათლება არ მიუღიათ... ერთ-ერთი ასეთი, თვითნასწავლი ხელოვანია ქეთი მელქაძე, რომლის ორიგინალური და თვალისმომჭრელი ნამუშევრები სამშენებლო რკინის ბადისა და მხატვრობის სინთეზს წარმოადგენს. ქეთი პროფესიით ფილოლოგია. 50 წლის ასაკში, ჯერ ხატვა დაიწყო, შემდეგ – რკინის ბადეზე მუშაობა, რომლითაც უჩვეულო და ძალიან ლამაზ ფიგურებს ქმნის. „ვერსია“ ქეთი მელქაძესთან ინტერვიუს გთავაზობთ.

– ქალბატონო ქეთი, ხატვა და რკინის ბადეზე მუშაობა როდის დაიწყეთ?

– თბილისში დავიბადე და გავიზარდე, პროფესიით ფილოლოგი ვარ, თუმცა ამ მიმართულებით არ მიმუშავია. ეს საქმიანობა 50 წლის ასაკში დავიწყე, თავიდან უბრალოდ, ვცადე, შემდეგ მომეწონა და საკმაოდ აზარტული აღმოჩნდა. მაინტერესებდა, რისი გაკეთება შეიძლებოდა და ასე შევყევი. ხუთ წელზე მეტია, რაც ამ საქმით ინტენსიურად ვარ დაკავებული. ეს ჩემი ჰობია, რისი კეთებაც ძალიან მსიამოვნებს.

– ბავშვობაში ხელოვნების მიმართ მიდრეკილება გქონდათ?

– არა. წლების განმავლობაში, ბაბუაჩემი სამხატვრო აკადემიაში მუშაობდა, კათედრის გამგე იყო, მაგრამ ხელოვნება იმდენად არ მაინტერესებდა, რომ მიხვდნენ, ამ კუთხით, ჩემთვის არაფერი უნდა დაეძალებინათ. შესაბამისად, სპეციალური განათლებაც არ მიმიღია.

– რამდენად რთულია რკინის ბადეზე მუშაობა?

– ბადე ისეთია, 2 სანტიმეტრიც რომ შემეშალოს, ვეღარაფერს ვუზამ. ვძერწავდი და ვხატავდი კიდეც, მაგრამ ყველაზე რთული რკინაზე მუშაობაა, პატარა შეცდომასაც არ გაპატიებს. თავიდან ხელი რომ მოვკიდე, მაინტერესებდა, რამე თუ გამოვიდოდა, პატარა ბადე ვიყიდე და ხელით გადაკვრა ვცადე, თუმცა მარტივად არ გამოვიდა და ხელით დამუშავება გავაგრძელე.

– საშუალოდ, რა დროს სჭირდება ერთი ნამუშევრის დამზადებას?

– გააჩნია ნამუშევარს, შეიძლება, ერთი კვირაც ვაკეთო, ზოგჯერ, რამდენიმე დღეში ვასრულებ და ერთი სული მაქვს, ვნახო, რა გამოვა. დასრულებისთანავე, ახლის გაკეთება მინდება და ასე გრძელდება. ჩემი ნამუშევრებით კმაყოფილი არასდროს ვარ, თუმცა ძალიან სასიამოვნო და აზარტული პროცესია. თითოეული ნამუშევარი რაღაც ახალს მაძლევს, ვსწავლობ და ვიგონებ.

– ხშირად ყიდით ნამუშევრებს?

– ნამუშევრებს მხოლოდ საქველმოქმედოდ ვყიდი, დანარჩენი სახლში მაქვს, მირჩევნია, მე მქონდეს. ბევრი ქალაქისთვის მაქვს რაღაც პროექტი შეთავაზებული, სრულიად უსასყიდლოდ. თავიდან ნახულობენ, მოსწონთ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, არ გამოდის ხოლმე. სამომავლოდ კიდევ ველოდები გამოხმაურებას, ვნახოთ, რა იქნება... ვფიქრობ, ჩემი ნამუშევრები ჩემს ქვეყანას უნდა ემსახუროს.

– უცხოეთიდან თუ გაქვთ შემოთავაზებები?

– დიახ, მაგრამ საზღვარგარეთ წასვლა არ მინდა. იქ რომ წავიდე, ნამუშვრები გაიყიდება, მაგრამ მირჩევნია, ჩემი ნიჭი ჩემს ქვეყანას მოვახმარო. წასვლა მხოლოდ მატერიალურ მხარეს გააუმჯობესებს და მეტ საზრდოს არ მომცემს. აქ იმდენი მეგობარი შევიძინე, გარეთ რომ გავდივარ, ბევრი მცნობს, სხვა სითბო და სიყვარული მაქვს, საზღვარგარეთ რომ წავიდე, იქ ეს არ მექნება და ამას ვუფრთხილდები ყველაზე მეტად. პანდემიამ ბევრი რამ გააჩერა, თუმცა მაქსიმალურად ვეცდები, თავი სამშობლოში დავიმკვიდრო.

– რთულია საქართველოში ხელოვანის ცხოვრება?

– მარტივი ერთი სფეროც არ არის, მაგრამ სხვა თემაა ადამიანი, რომელიც ქმნის, რისი კეთებაც თვითონ სიამოვნებს და რისი ნახვაც სხვებსაც მოსწონთ, თუმცა ე.წ. კომერციული ხელოვნებაც არსებობს. არ მივცემ თავს უფლებას, რომ ვინმე განვიკითხო, მაგრამ კომერციაზე როდესაც გადადიხარ, ეს ხელოვნება აღარაა და ხელობა ხდება. ორი ერთნაირი არასდროს არაფერი გამიკეთებია და ვერც გავაკეთებ.

– თავისუფალ დროს როგორ ატარებთ, კიდევ რა არის თქვენი ჰობი?

– სოკოზე სიარული მიყვარს, ყველაზე კარგად თავს ბუნებაში ვგრძნობ, ვცდილობ ხოლმე, სულ სადმე გავიდე. თავისუფალ დროს ვკითხულობ, ჩემი ყველაზე დიდი ჰობი კითხვა იყო, მაგრამ რაც ბადეებზე მუშაობა დავიწყე, ძალიან ვიღლები და კითხვისთვის იმდენი დრო აღარ მრჩება.

– რა გეგმები გაქვთ და რას ისურვებდით ყველაზე მეტად?

– კარგია, თუ იქნება შესაძლებლობა, რომ საქველმოქმედო გალერეა გავაკეთო. ხალხმა ნახოს და ელემენტარული რაც იქნება, თითო ნამუშევრის ფასი, ესეც ჩვენს მოქალაქეებს მოხმარდეთ. უამრავ საქველმოქმედო დღეს ვაწყობ, ხან ქუჩაში ვდგავარ, ხან – მეტროში, სოციალურ ქსელში უამრავი შეტყობინება მომდის და ბევრი ადამიანი ითხოვს დახმარებას. ვფიქრობ, ჩემს ნამუშევრებს შეუძლიათ, კეთილი საქმე გააკეთონ. ესაა, რაც ყველაზე მეტად მინდა.

ლატარეაში 110 მილიონი მოიგო

ბრიტანეთის ერთ-ერთმა მცხოვრებმა EuroMillions-ის ლატარეაში 109.9 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოიგო. იღბლიანი გამარჯვებულის ვინაობა ჯერ-ჯერობით არ გამჟღავნებულა, თუმცა ცნობილია, რომ მან გათამაშების 5 ძირითადი და 2 დამატებითი რიცხვი გამოიცნო. თავად ბილეთის ღირებულება კი 2.5 ევროა. ლატარეის გამარჯვებულს შეუძლია, მოგებული თანხა ნახევარი წლის განმავლობაში, ნაწილ-ნაწილ გამოიტანოს. EuroMillions-ი საფრანგეთში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში, ლუქსემბურგში, ბელგიაში, შვეიცარიაში, პორტუგალიაში, ირლანდიასა და ავსტრიაში თამაშდება.

პარალიზებული პაციენტი ფეხზე დააყენეს

მსოფლიო სენსაცია იტალიაში – მედიკოსებმა პარალიზებული მამაკაცის ფეხზე დაყენება შეძლეს. ხუთი წლის წინ, მიშელ როკატი მოტოციკლით ავარიაში მოყვა, რის შედეგადაც მას ხერხემალი დაუზიანდა და ფეხები წაერთვა. აქამდე, ასეთი ტრავმის შემდეგ, დამოუკიდებლად არც ერთ პაციენტს არ გაუვლია. შვეიცარიელმა სპეციალისტებმა როკეტის ხერხემალში იმპლანტი გადანერგეს, რომელიც ელექტრულ იმპულსებს აგზავნის კუნთებში ანუ ტვინის მოქმედების იმიტირებას ახდენს. შედეგად, პაციენტს შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს ფიზიკური აქტივობა. ექიმები ამბობენ, რომ მიუხედავად ამ წარმატებისა, ტექნოლოგია ჯერ კიდევ დასახვეწია. ეს არ არის ზურგის ტვინის სრული გამოჯანმრთელება, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯია პარალიზებული ადამიანების ცხოვრების გასაუმჯობესებლად, – ამბობენ შვეიცარიელი მკვლევარები.

მომღერლის შემოქმედებას უნივერსიტეტში ასწავლიან

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად, ამერიკელი მომღერლის, ტაილორ სვიფტის შემოქმედების შემსწავლელი კურსი გაიხსნა. ამის შესახებ ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა წერს. Variety-ის ინფორმაციით, ლექციებს ჟურნალ Rolling Stone-ის რედაქტორი, ბრეტანი სპენოსი კითხულობს. კურსი იანვარში დაიწყო და ის მარტის შუა რიცხვებამდე გასტანს. სტუდენტები მოისმენენ ტეილორ სვიფტის, როგორც მუსიკოსის ევოლუციას, პოპისა და ქანთრის ჟანრების თავისებურებებს, მომღერლის თაყვანისმცემელთა სუბკულტურის ფორმირებასა და სხვა საკითხებს.

უმტკივნეულო ალტერნატივას იყენებენ

შოტლანდიის ჯანდაცვის ეროვნულმა სამსახურმა, დაახლოებით, 2000 პაციენტში, კაფსულაში მოთავსებული უმცირესი კამერა გამოიყენა ნაწლავის კიბოს სკრინინგისთვის. კოლონოსკოპიის ახალ საშუალებას PillCam უწოდეს და ეს მისი, გაცილებით სასიამოვნო ალტერნატივაა. მცირე კაფსულა ქამართან ერთად მოქმედებს, რომელსაც პაციენტი წელზე შემოიჭერს და არეგულირებს, ვიდრე კაფსულა საჭმლის გადამამუშავებელ სისტემაში გადაადგილდება. ამ გზაზე, PillCam, დაახლოებით, 50 ათას ფოტოს იღებს – წამში ორიდან ექვს კადრამდე სიხშირით. გამოსახულება კი ჩამწერ მოწყობილობას გადაეცემა, რომელიც პაციენტის წელზეა შემოჭერილი. მას შემდეგ, რაც კაფსულა დაასრულებს „მოგზაურობას“, მიღებულ კადრებს სპეციალისტები აანალიზებენ. PillCam ერთჯერადი მოწყობილობაა, სამაგიეროდ, პროცედურა უმტკივნეულოდ მიმდინარეობს, თუმცა მისთვისაც ისეთივე მომზადებაა საჭირო, როგორც ჩვეულებრივი კოლონოსკოპიისთვის.

ბიჭის გასაჩენად შუბლი გაიხვრიტა

პაკისტანის ქალაქ პეშავარში მცხოვრებ ფეხმძიმე ქალს ისე ძალიან უნდოდა ბიჭის გაჩენა, რომ დასახმარებლად ექიმბაშს მიმართა. მან კი ორსულს ამისთვის შუბლში ლურსმნის დაჭედება ურჩია. როგორც ადგილობრივი გაზეთი წერს, სასოწარკვეთილი ქალი ამ წინადადებას დათანხმდა, რადგან მეოთხედაც გოგონაზე დაფეხმძიმდა. ქმარს კი ბიჭი უნდოდა და თუ ასე არ მოხდებოდა, მას მიტოვებით ემუქრებოდა. ექიმბაშმა ორსულს ამულეტი, ლოცვები და ლურსმანი მისცა, რომელიც მას თავში უნდა გაერჭო. სახლში მისულმა ქალმა „მკურნალის“ დარიგება სიტყვა-სიტყვით შეასრულა. ახლობლებმა ის სისხლის გუბეში იპოვეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. მედიკოსების თქმით, ლურსმანი ღრმად იყო ჩარჭობილი თავის ქალაში. დაზარალებული არ აღიარებს, დაეხმარა თუ არა ვინმე ამ საშიში პროცედურის ჩატარებაში, ექიმბაშს კი პოლიცია ეძებს.

ქორწილი „მეტავერსით“ გადაიხადეს

კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის მოქმედი რეგულაციების გამო, ინდოეთში ქორწილის ვირტუალურად გამართვა გადაწყვიტეს. წყვილმა საამისოდ „მეტავერსის“ ტექნოლოგია გამოიყენა. ეს პირველი სადღესასწაულო ცერემონია იყო ინდოეთში, რომლისთვისაც „მეტა“ გამოიყენეს. ქორწილი ორ საათს გაგრძელდა და მას 3 ათასზე მეტი ადამიანი „დაესწრო“. ცერემონიაზე „იმყოფებოდა“ ასევე, პატარძლის გარდაცვლილი მამაც, რომლის 3D ავატარიც სპეციალურად, ქორწილის წინ შექმნეს.

შაქარს უსისხლოდ გაიზომავთ

ბრიტანელმა სწავლულებმა ბატას უნივერსიტეტიდან, არაინვაზიური დასაწებებლი პლასტირი შექმნეს, რომელსაც შეუძლია, კანიდან სისხლში გლუკოზის დონე განსაზღვროს ისე, რომ ამისთვის თითიდან სისხლის აღება არ გახდეს საჭირო. პლასტირი არ აზიანებს კანს, ის გლუკოზას უჯრედშორისი სითხიდან, თმის ფოლეკულების გავლით იღებს. გლუკოზა უმცირეს რეზერვუარებში გროვდება და მისი რაოდენობა იზომება. ასეთი გაზომვა, რამდენიმე საათის განმავლობაში, ყოველ 10-15 წუთში ტარდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გადამცემთა სისტემის თავისებურებების წყალობით, ინოვაციურ პლასტირს სისხლის აღება არ სჭირდება. მოწყობილობაზე ჩატარებული ექსპერიმენტების შემდეგ, სწავლულები იმედოვნებენ, რომ შეძლებენ იაფი, თან სატარებელი გადამცემის შექმნას. ის კანზე განთავსდება და გლუკოზის მონაცემებს „სმარტფონზე“ გაგზავნის, რათა მომხმარებელმა იცოდეს, როდის დასჭირდება შესაბამისი სამედიცინო დახმარება.

სიძუნწეს წამალი მოუძებნეს

ბერკლის უნივერსიტეტის სწავლულებმა გარკვიეს, რომ პრეპარატი „ტოლკაპოლი“ ადამიანის ორგანიზმში, ჰორმონ დოფამინის კონცენტრაციაზე ზემოქმედებს და მის რაოდენობას ამცირებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს აღმოჩენა შემთხვევითი იყო, რადგან წამალი პარკინსონის დაავადების სამკურნალოდაა შექმნილი. ექსპერიმენტებისას, მედიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ პაციენტები ამ პრეპარატის მიღების შემდეგ, საოცრად კეთილები ხდებიან. ამის გამო, მათ კიდევ ერთი კვლევა ჩაატარეს და მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს. ერთს ამ წამალს აძლევდნენ, მეორეს – პლაცებოს. ჯგუფების წარმომადგენლებს ერთმანეთში თანხა უნდა გაეყოთ. დაკვირვებებმა ცხადჰყო, რომ პრეპარატის ქვეშ მყოფი პაციენტები არა თუ სამართლიანად ანაწილებდნენ თანხას, არამედ, უსამართლობის მიმართაც განსაკუთრებულ მგრძნობელობას გამოხატავდნენ. სწავლულების თქმით, არსებობს ერთგვარი ჩამრთველ-გამომრთველი, რომელიც ადამიანის თვისებებს არეგულირებს. სწორედ ეს წერტილი აღმოვაჩინეთ და ახლა შესაძლებელია, ამ თვისებებზე ზეგავლენა მოვახდინოთ, – აცხადებენ სპეციალისტები.

სიკვდილისთვის მეცნიერებს ფული გადაუხადა

34 წლის ამერიკელმა მილიარდერმა, სემ ალტმანმა, რომელიც მაღალი ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტია, 10 ათასი დოლარი გადაიხადა, რომ მეცნიერებმა კომპანია Nectome-დან, მოკლან, მისი ტვინი გააციფრულონ და კომპიუტერში გადაიტანონ. ახალგაზრდა ბიზნესმენი იმედოვნებს, რომ ეს პროცედურა მას სამუდამო სიცოცხლეს მიანიჭებს. ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი ადამიანის ორგანიზმში ბალზამირების ნივთიერება შეჰყავთ, ადამიანი კვდება, მაგრამ მისი ტვინი „პირველყოფილი სახით“ ნარჩუნდება. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ მომავალში შეძლებენ, დაბალზამებული კლიენტების აზროვნება გადაქაჩონ საცავში, სადაც ისინი, პრაქტიკულად, სამუდამოდ იცხოვრებენ. ერთადერთი პრობლემა, რომელსაც Nectome-ის კლიენტები აწყდებიან – ეს აბსოლუტურად გარანტირებული სიკვდილია. კომპანია არც მალავს ამ ფაქტს და პროცედურას ასე აანონსებს: „ასი პროცენტით სასიკვდილო“.

ამის მიუხედავად, უკვე გამოჩნდა 25 თავზეხელაღებული, რომელთაც ამ ყველაფრის საკუთარ თავზე გამოცდა სურთ. მათი უმეტესობა უკურნებელი სენითაა დაავადებული, რასაც ვერ ვიტყვით ალტმანზე – სემი ახალგაზრდა, ჯანმრთელი და ძალიან მდიდარია. ჯერჯერობით, უცნობია, როდის დაიწყებს კომპანია კლიენტების „შენახვას“. გარდა ამისა, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ მეცნიერები შეძლებენ პიროვნებისა და მეხსიერების აღდგენას ნეირონული კავშირებით. ამის მიუხედავად, ეს პროცედურა სავსებით ლეგალურია, რადგან აშშ-ს ხუთ შტატში, ევთანაზია დაშვებულია.

ლუდი ახალი თოვლისგან

ქარვისფერი სასმელის რამდენიმე ამერიკელმა მწარმოებელმა კოლორადოს შტატიდან, ახალი ლუდის ჩამოსხმა დაიწყო, რომლისთვისაც ახლომდებარე მთებიდან აღებულ თოვლს იყენებენ. აღმოჩნდა, რომ ახალი თოვლის მოძიება არც ისე ადვილი ყოფილა. მწარმოებლებს საბურღი დანადგარების გამოყენება მოუწიათ, რათა ხარისხიანი "ინგრედიენტი" მიეღოთ. სპეციალისტები ამბობენ, რომ სურდათ, რაც შეიძლება სუფთა და ახალი თოვლი აეღოთ და დარწმუნებულები ყოფილიყვნენ, რომ მასში გარე მინარევები არ იქნებოდა. თოვლზე დამზადებულ ქარვისფერ სასმელს დენვერში, ყოველწლიურ ფესტივალზე, Collaboration Fest-ზე წარადგენენ.

ციხეს კულტურულ ცენტრად გადააქცევენ

იტალიის მთავრობა აპირებს, კუნძულ სანტო-სტეფანოზე მდებარე, მიტოვებული, XVIII საუკუნის ციხე კულტურულ ცენტრად გადააქციოს. ციხისა და მის ახლოს მდებარე ობიექტების აღდგენა-გარემონტებაზე 70 მილიონი ევრო გამოიყოფა. პროექტის მიხედვით, აქ მოეწყობა მუზეუმი ღია ცის ქვეშ, გააშენებენ ბაღს, იქნება საკონფერენციო დარბაზები კულტურული ღონისძიებებისა და სემინარების გასამართად. გარდა ამისა, ყოფილ ციხეში, მხატვრებისთვის მცირე რეზიდენციასაც მოაწყობენ. ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ახალი კულტურული ცენტრი ყოველწლიურად 40 ათას ტურისტს მიიზიდავს. კუნძულზე ციხე 1789 წელს აშენდა და ის 1965 წლამდე მოქმედებდა.

როდის არის ქალი უფრო ლამაზი?

ავსტრალიელმა სწავლულებმა ფლინდერსის უნივერსიტეტიდან, დაადგინეს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენელი სხვა ქალების გარემოცვაში უფრო კარგად გამოიყურება, ვიდრე – მარტო ყოფნისას. ექსპერიმენტში მონაწილეებს ფოტოებზე ქალების სახეებზე დაკვირვება სთხოვეს. მათ ერთი და იმავე ადამიანის 2 სურათს აჩვენებდნენ – ერთზე ის მარტო პოზირებდა, მეორეზე – მეგობრებთან ერთად. აღმოჩნდა, რომ ერთი და იგივე სახე, ქალებსაც და კაცებსაც, უფრო მომხიბვლელად ეჩვენებოდათ, როცა ის სხვა ადამიანებთან ერთად იყო გადაღებული. სპეციალისტები ამბობენ, რომ ამ დროს დამკვირვებლები აფასებენ არა ქალის ნაკვთებს, არამედ, „საშუალო“ სილამაზეს მასთან ერთად მყოფ ადამიანებს შორის. ამ დროს მნიშვნელოვანია, უფრო ზოგადი შთაბეჭდილება.

მიცვალებულების „გაცოცხლების“ მეთოდს მიაგნეს

შვედეთის დედაქალაქის დამკრძალავი ბიუროები ახალ პროექტზე მუშაობენ, რომლითაც გარდაცვლილი ადამიანების „ელექტრონული ასლები“ უნდა შექმნან. როგორც სტოკჰოლმის ბიუროების ქსელის დირექტორი ამბობს, საწყის ეტაპზე, საუბარია კომპიუტერული პროგრამების შექმნაზე, რომელთა საფუძველზეც, მომავალში გარდაცვლილის გარეგნობის რობოტი შეიქმნება. ამ მიმართულებით, პირველი ნაბიჯი იყო სამეტყველო პროგრამის შექმნა – ის შეძლებს გარდაცვლილის ხმის იმიტირებასა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო შეკითხვებზე პასუხის გაცემას, თუმცა რობოტი ახალს ვერაფერს მოყვება. პირველი კიბერ-ასლებისთვის დამკრძალავი ბიუროები და პროგრამისტები ათ მოხალისეს ეძებენ – მათ ხმებს ჩაიწერენ, რომლებსა შემდეგ, სპეციალური პროგრამა დაამუშავებს.

„სმარტფონი“ მეხსიერებას აქვეითებს

ასეთ განცხადებას ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის სწავლულები აკეთებენ. ადამიანებმა გაჯეტებს უამრავი ფუნქცია გადააბარეს. ეს კოგნიტური რესურსების გამოთავისუფლების საშუალებას იძლევა, მაგრამ ნეგატიურად მოქმედებს დეტალების დამახსოვრების უნარზე, – აცხადებენ მკვლევარები. მაგალითად, მძღოლები, რომლებიც GPS-ნავიგატორებით სარგებლობენ, ცუდად იმახსოვრებდნენ მგზავრობისას გზას და მისი გამეორება გაჯეტის დახმარების გარეშე არ შეეძლოთ. ანდა იმ ადამიანებს, რომლებიც მუზეუმებში ფოტოებს იღებდნენ, თავად ექსპონატები ნაკლებად ახსოვდათ, ვიდრე მათ, რომლებიც ფოტოებს არ იღებდნენ.

ბელგიელებს ბირთვული კატასტროფისთვის ამზადებენ



ბელგიის ტერიტორიაზე, იოდის შემცველი აბების უფასო დარიგება დაიწყეს იმ შემთხვევისთვის, თუკი ბირთვული აფეთქება მოხდება. როგორც ქვეყნის ფარმაცევტული ასოციაციები აცხადებენ, სამეფოს ნებისმიერ მცხოვრებს შეუძლია, მივიდეს აფთიაქში და მოითხოვოს იოდიანი აბები, რომელსაც შესაძლო რადიაციული დაზიანებისას, პროფილაქტიკური დანიშნულება აქვს. წამლის გაცემა ბელგიის ბირთვული უსაფრთხოების ახალი გეგმითაა გათვალისწინებული და ის შინაგან საქმეთა მინისტრმა შეიმუშავა. ამ ევროპული ქვეყნის ტერიტორიაზე, შვიდი ბირთვული რეაქტორია, კიდევ 25 – მეზობელ ქვეყნებში, 200-კილომეტრიან რადიუსში მდებარეობს. ბელგიის ის მოსახლეობა, რომელიც რეაქტორებიდან 20 კილომეტრამდე რადიუსში ცხოვრობენ, ვალდებულნი არიან, იოდიანი აბების მარაგი ჰქონდეთ. ახალი გეგმით, პოტენციური ბირთვული კატასტროფის რადიუსი 100 კილომეტრამდე გაიზარდა და ამგვარად, ის სამეფოს მთელ ტერიტორიას მოიცავს. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, ქვეყნის ატომურ ელექტროსადგურებზე შვიდი ინციდენტი მოხდა, თუმცა უმნიშვნელოდ.

ენით თვალებს სწვდება

20 წლის ამერიკელი გოგონა, ჰერკარი ბრაჩო, რომელიც ფლორიდაში ცხოვრობს, უჩვეულოდ გრძელი ენის პატრონია. გოგონას შეუძლია, ენის წვერით საკუთარ თვალებსაც მისწვდეს. ამ უნიკალური შესაძლებლობის მქონე ადამიანზე ინფორმაცია გამოცემა "ტელეგრაფმა" გაავრცელა. გამოცემის ვარაუდით, ბრაჩოს გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა შეუძლია – ამჯერად, მასში კალიფორნიელი ნიკ სტობერლის რეკორდია დაფიქსირებული. მისი ენის სიგრძე 10.08 სანტიმეტრია, ფლორიდელი გოგონას მაჩვენებელი კი 10.10 სანტიმეტრი.

კბილის პასტები უსარგებლოა?

კბილის ყველა პასტა, პრაქტიკულად, ერთნაირია და არ შეუძლია კბილები დაიცვას მაღალი მგრძნობელობის ან დაშლისგან, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სპეციალისტები შვეიცარიისა და ბრაზილიის უნივერსიტეტებიდან. სწავლულთა საერთაშორისო ჯგუფმა გამოსაკვლევად აიღო – საკონტროლოდ ერთი „ჩვეულებრივი“ და რამდენიმე სხვადასხვა სახეობის პასტა, რომლებიც ეროზიისგან და კბილების მგრძნობელობისგან დაცვას გვპირდებიან. ექსპერიმენტებისას, წმენდის ხუთი ციკლი ჩატარდა ყველაზე უფრო პოპულარული კბილის პასტებით ბრაზილიასა და ევროპაში. აღმოჩნდა, რომ მათგან არც ერთი არ იცავს კბილებს კარიესისგან და არ შეუძლია შეაჩეროს კბილის ემალის დაკარგვა. სპეციალისტები გვირჩევენ, სამი ძირითადი წესი დავიცვათ, რათა ემალის გაცვეთა და სხვა პრობლემები ავირიდოთ თავიდან: კვების სწორი რეჟიმი, პირის ღრუს კარგი ჰიგიენა და სტომატოლოგთან რეგულარული ვიზიტი.

ვახტანგ გომელაურმა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი, გივი თუმანიშვილი წარუდგინა

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საბჭოს აპარატის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი, გივი თუმანიშვილი წარუდგინა და მას ახალ თანამდებობაზე წარმატებები უსურვა.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დეპარტამენტების დირექტორებმა ახალ უფროსს სტრუქტურული დანაყოფების ფუნქცია-მოვალეობები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნეს.

2019 წლიდან, გივი თუმანიშვილი საქართველოს დაზვერვის სამსახურში ანალიტიკური დირექტორატის უფროსი იყო, ხოლო მანამდე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსად გივი თუმანიშვილი 11 თებერვალს დანიშნა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თაღლითობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია დანაშაულებრივი ჯგუფის ექვსი წევრი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ექვსი პირი: 1976 წელს დაბადებული შ.ბ., 1996 წელს დაბადებული მ.ჭ., 1966 წელს დაბადებული ნ.ხ., 1988 წელს დაბადებული მ.ხ., წარსულში ნასამართლევი 1971 წელს დაბადებული თ.წ. და 1971 წელს დაბადებული თ.გ. დააკავეს.

მათ ბრალად ედებათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობა, რამაც დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი გამოიწვია. დანაშაულები 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა 2022 წლის დასაწყისში, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან ერთად, ერთ-ერთი ფინანსური ინსტიტუტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლება დაგეგმეს. განზრახვის აღსრულებისთვის, შ.ბ.-მ, რომელიც ერთ-ერთი კომპანიის დირექტორია, ფინანსურ ინსტიტუტს მიმართა და პოს-ტერმინალის დადგმა მოითხოვა. მას შემდეგ, რაც შ.ბ.-მ პოს-ტერმინალი მიიღო, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, უკანონო მანიპულაციების შედეგად, მასზე გააქტიურეს ე.წ. პრეავტორიზაციის ფუნქცია.

ბრალდებულებმა, 2022 წლის 27 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით პერიოდში, უცხოეთში რეგისტრირებული ბანკის ორი საბანკო პლასტიკური ბარათის გამოყენებით, რომლებზეც არ იყო შესაბამისი თანხები, პოს-ტერმინალზე განახორციელეს 16 სხვადასხვა გადახდა, საერთო ოდენობით 2 314 890 ლარი. უკანონო ტრანზაქციების შემდეგ, ჯგუფის წევრებმა, წინასწარი შეთანხმებისამებრ, დროის უმოკლეს პერიოდში უზრუნველყვეს თანხის ნაწილის საკუთარ ანგარიშებზე გადარიცხვა და მათი განაღდება. მათ დანაშაულებრივ ქმედებას 975 530 ლარის მატერიალური ზიანი მოჰყვა.

პოლიციამ შ.ბ.-ის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 12 ვაზნა, რომელთა ტარების უფლება ბრალდებულს არ ჰქონდა. შ.ბ.-ს მმართველობაში არსებული კომპანიის ოფისის ჩხრეკისას კი ამოღებულია პოს-ტერმინალი, რომლითაც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა დანაშაული ჩაიდინეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი, ავტომანქანებისა და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს დიდი ოდენობით თანხები, საბანკო პლასტიკური ბარათები, მობილური და კომპიუტერული მოწყობილობები, ასევე, სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია.

დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარების, ასევე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობას, რამაც დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი გამოიწვია.

შს სამინისტროს თანამშრომლებმა ფინანსური დანაშაულის გამოძიების საკითხებზე ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ფინანსური დანაშაულების გამოძიების საკითხებზე გამართულ უწყებათშორის სწავლებაში მიიღეს მონაწილეობა. ტრენინგი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ TOPCOP“ – ფარგლებში ჩატარდა.

სწავლება მისასალმებელი სიტყვით გახსნა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, მამუკა ჭელიძემ. მან მადლობა გადაუხადა ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლებს მხარდაჭერისა და პროექტის გუნდს აქტიური თანამშრომლობისთვის.

სწავლებაში ასევე მონაწილეობდნენ ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლები.

უწყებათშორის ტრენინგს სამართალდამცველთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოს (CEPOL) მიერ მოწვეული ექსპერტები უძღვებოდნენ. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები.

სწავლებაზე ექსპერტებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: არალეგალური შემოსავლის კონფისკაციის ხერხები; კრიმინალური გზით დაგროვებული ქონების ჩამორთმევისა და მართვის გზები; კრიმინალური გზით დაგროვებული ქონების მოძიება და კონფისკაცია; ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება ფინანსური დანაშაულის გამოძიების კუთხით და სხვა.

აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2020 წლიდან ხორციელდება და 2024 წლამდე გაგრძელდება. მისი მიზანია, სტრატეგიული და ოპერატიული თანამშრომლობის გაძლიერება სამართალდამცავ უწყებებს შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა), ასევე, ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებსა და ევროკავშირის შესაბამისი სამართალდამცავი უწყებების შესაძლებლობების და რეგიონული ქსელის გაძლიერება საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.